38/09 №26

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

Тбилисский Филиал ИМЭЛ при ЦК ВКП (б) Библиотека

ქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია. სამშაბათი 1 აპრილი 1919 წ. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ერთობა

ფასი 75 კაპ.

ფასი და ვადა: 1 თვით 18 მანეთი. ცალკე ნომერი ღირს 75 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოიტანონ [illegible] დღის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ ხელნაწერებს რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან [illegible] [illegible] კორესპონდენციის.

ხელის მოწერა მიიღება [illegible]: თბილისი, [illegible] ქუჩა № 199 გაზ. „ერთობის“ რედაქცია. [illegible] რედაქცია [illegible]. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციის და კანტორის მისამართი: თბილისი, [illegible] პროსპექტი № 24.

ტელეფონი 16—62.

№ 73 ორგანო საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 73

გორის მაზრის კომისარიატი აუწყებს ამხანაგებს, რომ სამშაბათს, 1 აპრილს გორში ძმათა სასაფლაოზე გადახდილი იქნება წლის თავის აღსანიშნავათ სამოქალაქო პანაშვიდი ცხინვალში ბრბოსთან შეტაკების დროს თავის სახელოვან პოსტზე ტრაგიკულად დაღუპულ ყოფილ მაზრის კომისრის ამხანაგ

გიორგი ზაალის ძე მაჩაბელის

პანაშვიდი დაიწყება დილის 11 საათზე.

გორის მაზრის სახალხო გვარდიის შტაბი აუწყებს ამხანაგებს, რომ სამშაბათს 1 აპრილს (ახ. სტ.) ქ. გორში, წლის თავის აღსანიშნავათ ძმათა სასაფლაოზე გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ცხინვალში 19 მარტს 1918 წ. მოღალატეების აჯანყების დროს ვერაგულად დაღუპულ ამხანაგ. შტაბის წევრების:

გიორგი ზაალის ძე მაჩაბლის, სანდრო კეცხოველის, კოსტა უაზიევის

და ამხ. სახ. გვარდ.

ვანო მალიევის, გიორგი თაყნიაშვილის, ისაკი კოზერიძის და სხვათა

პანაშვიდი დილის 11 საათზე ერთობის ქვაზე.

გორის ქალაქის საბჭოს სოციალდემოკრატიული ფრაქცია ამით აცხადებს, რომ სამშაბათს, 1 აპრილს (ახ. სტ.) დილის 11 საათზე ქ. გორში ძმათა სასაფლაოზე ერთობის ქვაზე გადახდილი იქნება წლის თავის აღსანიშნავად სამოქალაქო პანაშვიდი ცხინვალში მეამბოხეთაგან დახოცილ ამხ.

გიორგი მაჩაბლის, სანდრო კეცხოველის, კოსტა უაზიევის, გიორგი თაყნიაშვილის, ისაკა კოზერიძის, ვანო მალიევის

და სხვათა.

გორის სამაზრო კომიტეტი ს. ს. დ. მ. პ. ამით აცხადებს, რომ სამშაბათს 1 აპრილს (ახ. სტ.) დილის 11 საათზე ქ. გორში, ძმათა სასაფლაოზე, ერთობის ქვაზე გადახდილი იქნება წლის თავის აღსანიშნავად სამოქალაქო პანაშვიდი ცხინვალში მეამბოხეთაგან დახოცილ ამხანაგების:

გიორგი მაჩაბლის, სანდრო კეცხოველის, კოსტა უაზიევის, გიორგი თაყნიაშვილის, ისაკა კოზერიძის, ვანო მალიევის

და სხვათა.

გორის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი ს. ს. დ. მ. პ. ამით აცხადებს, რომ სამშაბათს, 1 აპრილს (ახ. სტ.) დილის 11 ს. ქ. გორში ძმათა სასაფლაოზე, ერთობის ქვაზე, გადახდილი იქნება წლის თავის აღსანიშნავად სამოქალაქო პანაშვიდი ცხინვალში მეამბოხეთაგან დახოცილ ამხანაგების:

გიორგი მაჩაბლის, სანდრო კეცხოველის, კოსტა უაზიევის, გიორგი თაყნიაშვილის, ისაკა კოზერიძის. ვანო მალიევის

და სხვათა.

გორის მუშათა დეპუტატების საბჭო ამით აცხადებს, რომ სამშაბათს, 1 აპრილს (ახ. სტ.) დილის 11 საათზე ქ. გორში, ძმათა სასაფლაოზე, ერთობის ქვაზე, გადახდილი იქნება წლის თავის აღსანიშნავად სამოქალაქო პანაშვიდი ცხინვალში მეამბოხეთაგან დახოცილ ამხანაგების:

გიორგი მაჩაბლის, სანდრო კეცხოველის, კოსტა უაზიევის. გიორგი თაყნიაშვილის, ისაკა კოზერიძის, ვანო მალიევის

და სხვათა.

დამწუხარებულნი მამა [illegible], დედა ეკატერინე, ძმები თედორე, კონსტანტინე, [illegible] ქალი და მარო, რძალი ელენე, შვილები, [illegible] და შოთა ჯინჭარაძენი, ძმები იაკინთე, იოსები, რძალი [illegible] და მისი შვილი ელენე [illegible], ბიძა სილიბისტრო და ბიცოლა [illegible] შვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ქ. ოზურგეთში, [illegible] შემოსევის დროს, გმირულად დაჭრილი გარდაიცვალა

კაპიტონ ჯინჭარაძე

გარდაცვალებულის [illegible] ცხედრის გასვენება სადგურზე მოხდება 30 მარტს, დილის 8 ს., დაკრძალვა კი ქ. ოზურგეთში, [illegible] ეკლესიის გალავანში სამშაბათს 1 აპრილს. (2—2)

ღრმად დამწუხარებულნი: მამა გიორგი სტეფანეს ძე, ძმა ივანე და რძალი ალექსანდრა [illegible], შვილები: სონა, მარიამ და იოსებ და ქმარი ალექსანდრე ჯავრიშვილი აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ, რომ შაბათს 29 მარტს გარდაიცვალა

ეკატერინე გიორგის ასული ჯავრიშვილისა

დაკრძალვა მოხდება დღეს წმ. ნინოს სასაფლაოზე.

ღრმად დამწუხარებული დედა მარიამი, ძმები: ივანე და გიორგი, რძლები: [illegible] და მარო, ძმისწულები: დიმიტრი, ლევანიდი, ნინა, ვასო და [illegible] ამით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ოთხშაბათს, 3 აპრილს, [illegible] წლის წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქნება, ჩვენთვის დაუვიწყარი

ევგენია ლუკას ასული ხაფთასისა

პანაშვიდი დილის 10 საათზე, წირვა 12 საათზე, [illegible] სასაფლაოზე.

ღრმად მწუხარებაში მყოფი მეუღლე ალექსანდრა მეხუზლასი, ულრმეს მადლობას ვსწირავ დ. ლაგოდეხის საზოგადოებას ჩემთვის დაუვიწყარის მეუღლის

იასე რაჭველის-მეხუზლას

გარდაცვალების დროს მათ მიერ მატერიალურ და ზნეობრივ დახმარების გაწევისათვის. ჩემ აკუთრებით მადლობას უძღვნი სამხედრო ექიმს ქ. წივწივაძეს მის მიერ მიღებულ შრომისთვის. აგრეთვე უგულითადეს მადლობას უცხადებ ყველა იმათ, რომელთაც გაიზიარეს ჩემი მწუხარება დეპეშით, წერილებით და პირადათ.

ლეონინე ეფრემის ასული ლომთათიძე მწუხარებით ვაუწყებ მშობლებს და ცოლ შვილს გარდაცვალებას ჩემთვის ძვირფასი ნათლიის შვილის

პროკოფი სიმონის ძე მათითაშვილის

ვიზიარებ თქვენს მწუხარებას და ჩემთვის დაუვიწყარი იქნება პროკოფის ხსოვნა. (1—1)

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას მოხუცი თაობის ქუთაისის აღმზრდელის და მასწავლებლის ქუთაისის მეორე გიმნაზიის (ყოფილი ქართული გიმნაზია) დირექტორის

იოსებ ოცხელის

უდროოდ გარდაცვალებას.

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთო კრება ულრმეს მწუხარებას გამოსთქვამს მოხუცი თაობის საქუთაისო აღმზრდელის და მასწავლებლის

იოსებ ოცხელის

უდროოდ გარდაცვალების.

1030

სამტრედიის რაიონის ს. დ. კომიტეტი მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს და მეგობრებს უდროოდ გარდაცვალებას ამხ. ექიმ

ხიტუ მიქელაძისას

ს. ლაგოდეხის ს. დ. კოლექტივი გულითადი მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს და ნაცნობებს [illegible] გარდაცვალებას ამხ.

ვალიკო ხარატიშვილის

სახელმწიფო თეატრი

სამშაბათს, 1 აპრილს მე 8 გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ

I საბანეევას, მოროზოვას, სარაჯიშვილის, ეროშკის, ისეცკის, პოლიევის, დემიანენკოს მონაწილეობით

რომეო და ჯულიეტა

II ალექსის, იანსას, მოროზოვას, ინაშვილის მონაწილეობით

სოფლის ღირსება

ამნისტია

ნიკოლოზის [illegible] ბობლდა ციხე. ან დაიბადება ბავშვი, ან აკურთხებენ გვირგვინს, ან იუბილეს უწყალობენ სამასი წლის თავს თავის მტარვალობისას და გამოაცხადებენ მოწყალებას. მაგრამ ნამდვილი რევოლიუციონერები არასოდეს არ ფიქრობდნენ ამ გზით შეღავათის მიღებას. ამნისტია ნამდვილი, რეალური მოჰყვა მხოლოდ რევოლიუციას, ე. ი. მეფის ჩამოგდებას.

ისტორიამ იცის სხვაგვარი ამნისტიაც. ეს ხდება ბრძოლის გათავების ხანაში, როცა სიმწვავე სამოქალაქო ომისა გაივლის, როცა ძალთა განწყობილება ჩამოყალიბდება და განსაკუთრებული ზომები პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთადმი უბრალო შურისძიების ხასიათს ღებულობს.

ჩვენ შორს ვართ ასეთი შურისძიების გრძნობისაგან. ჩვენ სრულიადაც არ გვამოძრავებს მტრული გრძნობ; მაგრამ არც რომანტიზმით ვართ გატაცებული. ამნისტიის გამოცხადება იმიტომ, რომ გაიხსნა დამფუძნებელი კრება—ეს მხოლოდ ლამაზი ფრაზა, შესამოსელია, რომელიც სადღესასწაულოთ გამოდგება, მაგრამ პოლიტიკისა და ქვეყნის ინტერესებისათვის კი არა.

ჩვენ გვამოძრავებს ინტერესები ხალხის და რევოლიუციის.

ბოლშევიკები, ეს ერთადერთი პოლიტიკურები, დღეს დატუსაღებულია ჩვენში. როცა მათ ლენინი [illegible] უქადდა, ჩვენ იგინი მივიღეთ. განა შეგვეძლო არ მიგვეღო? და შევიფარეთ კიდეც, როგორც პოლიტიკური დევნილნი. ჩვენ მათ არც ვებრძვით მათი იდეებისათვის.

და დღეს რომ მხოლოდ იდეების ქადაგების ხანა იყოს, ჩვენ მათ სრულ თავისუფლებას მივანიჭებდით.

მაგრამ დღეს ასე არ გახლავთ. დღეს სიტყვა იქცევა საქმედ დაუყონებლივ და ისეთ საქმეთ, რომელშიაც პირველ როლს იარაღი თამაშობს. დღეს ბოლშევიკები ეყრდნობიან არა ხალხის ხმას, არამედ იარაღს, და ყოველ წამს მზად არიან იარაღით შეებრძოლონ თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს. მაშასადამე მათი მოქმედება დღეს—ეს სამოქალაქო ომია. სანამ იგინი ასეთ ომს აწარმოებდნენ საქართველოს გარეშე—ჩვენთვის მხოლოდ პოლიტიკური დევნილნი იყვნენ და მათ ვინახავდით. მაგრამ, როდესაც ასეთ სამოქალაქო ომს იწყებენ ჩვენში, მაშინ, ცხადია, ჩვენც უფლება გვაქვს მათ ისე მოვეპყრათ, როგორც მეომარ მხარეს.

ჩვენ არ დაგვიტუსაღებია ბოლშევიკები, რომელნიც კავკასიდან მოვიდნენ, ჩვენ დავატუსაღეთ მხოლოდ ისინი, რომელთაც სამართალი კიდებს ხელს ჩვენში აჯანყების მოწყობისათვის, და ვატუსაღებთ იმათ, ვინც დღეს აწყობს ჩვენში ახალ სამოქალაქო ომის ნიადაგს.

მაშასადამე ამნისტიის გამოცხადება მათთვის ეს იქნებოდა კიდევ ახალი მსხვერპლის გაღება ხალხისაგან, ახალი სისხლის დაღვრა ორივე მხრით. და ჩვენ არავითარი სურვილი არ გვაქვს ჩვენი ხალხის სისხლის დაღვრის წინაშე დავაყენოთ ჩვენის დაუდევრობით, ან რომანტიკული გატაცებით.

მაშ შეუძლებელია ამნისტია?

ამნისტია დიახ შეუძლებელია. მოწყალებას ომში არ აქვს ადგილი. ამნისტია, მოწყალება კი ეს პოლიტიკური [illegible] მოქმედებაა.

ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ მებრძოლ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს შორის შეიძლება მხოლოდ მორიგებით, თუ საერთო ნიადაგი და ენა გამოიძებნება. ჩვენ არ ვართ წინააღმდეგი ასეთ მორიგების, თუ მისთვის საკმაო საბუთი გვექნება. რუსეთში ლენინი შეურიგდა გუშინდელ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს, როცა მათთან საერთო მიზანი და საერთო სამოქალაქო ხაზი გამონახა.

ჩვენც ამ შემთხვევაში ასეთსავე პოზიციაზე ვდგავართ. თუ ბოლშევიკები პრაქტიკულად ხელს აიღებენ სამოქალაქო ომზე ჩვენთან, თუ ისინი იცნობენ დემოკრატიულ რესპუბლიკას და მის მთავრობას, და მხოლოდ იდეური ბრძოლით და დემოკრატიული საშუალებებით შეეცდებიან ხალხის უმრავლესობის მიმხრობას, ჩვენ მათ მხოლოდ იდეურ ბრძოლას გავუწევთ, იდეას ჩვენ ვებრძვით იდეით, იარაღს, იარაღით. ხოლო იარაღი შეიცავს ციხესაც, დატუსაღებასაც და სხ. ვიმეორებ, ჩვენთვის დაჭერა არ არის შედეგი შურისძიების, არამედ სამოქალაქო ომის, რომელსაც იგი აუცილებლათ თან სდევს.

ან რა აზრი ექნება ამნისტიას, თუ ხვალ სამოქალაქო ომის დაწყებისთანავე ისევ უნდა იქვე გავგზავნოთ, საიდაც დღეს იმყოფებიან და შეიძლება თან სისხლის მორევიც დავუმატოთ ქუჩებში?

ს.-ფედერალისტები როცა ამნისტიას მოითხოვდნენ, იმით ასაბუთებდნენ, რომ ეს პოლიტიკოსები ახლა ჩვენი რესპუბლიკის ერთგულნი გახდნენ და თავის ცოდვებს ინანიებენო.

ჩვენ უნდა აღვიაროთ, რომ ასეთი მონანიება არ მოგვისმენია. ჩვენთვის არც მონანიების მოსმენაა საჭირო. ვინც იდეურად განშორდა ძველ გზას კომუნისტთა სამოქალაქო ომისას, იგი მართლაც შეიძლება განთავისუფლდეს, თუ სხვა სისხლის დანაშაული არ მიუძღვის. ვინც იდეურად მეტსა კომუნისტობს, იგი განთავისუფლდება, სამოქალაქო ომის ნაცვლად დემოკრატიის მთლიანობის იდეას მიიღებს, ესე იგი პოლიტიკურ სფეროში გამონახავს იმავე ენას, რომელიც გვაერთებს ჩვენ მთელი ქვეყნის დემოკრატიასთან.

რომანტიზმის დრო წავიდა. გრძნობათა თამაშით სახელმწიფო არ აშენდება. პოლიტიკურ ნაბიჯს ჩვენ პოლიტიკური არშინით ვზომავთ. არვის მოსყიდვას გულკეთილობით არ ვფიქრობთ. არც შეიძლება ასეთი მოსყიდვა პოლიტიკური მოწინააღმდეგის. მხოლოდ ინტერესის და გზის ერთიანობას შეუძლია მორიგება, ხოლო მორიგებას შეიძლება მოყვეს ომის მეთოდების მოხსნა და მაშასადამე ციხიდანაც განთავისუფლება.

კიდევ სასურსათო პოლიტიკაზე

ექვსი თვის წინეთ ჩვენმა მთავრობამ ძლივს შესძლო სასურსათო კომიტეტების გაუქმება და რესპუბლიკის საზღვრებში თავისუფალ ინიციატივისათვის გზის გახსნა. იმ დროს დიდ ხანს ირჩეოდა ეს საკითხი პრესაში და პარლამენტის ს. დ. ფრაქციაში და ვერავინ შესძლო წარმოედგინა რაიმე საბუთი სასურსათო კომიტეტების არსებობის გასამართლებლათ. თანამგრძნობიც არავინ ჰყავდა მათ, გარდა თვით კომიტეტებისა, რომელნიც ოფიციალურ გაუქმების შემდეგაც დიდ ხანს განაგრძობდნენ ფაქტიურათ მოქმედებას და ბევრს ჯერაც არ დაუმთავრებია ლიკვიდაციის მოხდენა.

მაგრამ, საუბედუროთ, წარსულის გამოცდილებამაც ვერ გვიშველა და ერთხელ დასმარებული საკითხი კვლავ დგება და ძველის განმეორებას იწყებს: ჩვენ ვამბობთ იმ ბიუროზე, რომელიც ერობათა ყრილობამ შექმნა სახელდახელო საქმეებისათვის და რომელიც ერობათა ვითარებაში სახელმწიფოებრივ ხასიათის ორგანოს ფუნქციებს ასხორციელებს. ამ ბიურომ, როგორც ვიცით, უკვე მიიღო და ჩაიბარა ყოფილ სასურსათო საბჭოს ქონება და საქმეს შეუდგა, ხოლო ეს მისი საქმიანობა უპირველეს ყოვლისა მიმართულია თავისუფალ ვაჭრობის წინააღმდეგ, რაც კონკრეტიულათ ჯერჯერობით რკინის გზის ზოგიერთ სადგურების დაკეტვაში გამოიხატება: აღნიშნულ სადგურებს ეკრძალებათ ხორბლეულობის მიღება გადასატანათ.

პრინციპიალურათ ჩვენ შეუძლებლათ არ ვთვლით ეკონომიურ ცხოვრებაში ჩარევის საჭიროებას და კერძო ინიციატივის შეზღუდვას, მაგრამ ყოველგვარი პრინციპი უნდა [illegible] ადგილისა და დროის გარემოებაში და არა განყენებლათ, როგორც ამას ჩვენებური სოციალისტ ფედერალისტები სჩადიან ხოლმე. არც ერობათა ბიუროს აქვს აქ სათქმელი რამე ახალი: ის დებულება, რომ სასურსათო საბჭოს მოღვაწეების შეცვლას შეუძლია საქმის გამოკეთება—ჩვენ ყოვლად უსაფუძვლოდ მიგვაჩნია. რაც ვერ შესძლო არდიშვილმა, როგორ შესძლებს სოლორაშვილი, თუ არ შეიცვლება ის პოლიტიკა, რომელსაც არდიშვილი აწარმოებდა. ეს პოლიტიკა მდგომარეობს პურის იძულებითის წესით შეძენაში. რკინის გზის სადგურების დაკეტვა მხოლოდ პირველი საფეხურია. დაიკეტება რკინის გზა კერძო ვაჭრებისათვის, მაშასადამე, გადატან-გადმოტანის ნება ექნება მხოლოდ ბიუროს, რომელმაც იძულებით უნდა ჩამოართვას პატრონებს ხორბალი და სიმინდი განსაზღვრულ ფასებში.

მაგრამ ვინ არ იცის, რომ იძულებით ჩამორთმევის განხორციელება ჩვენ დღევანდელ პირობებში არ შეიძლება: გარდა იმისა, რომ ჩვენ არ მოგვეპოვება ძლიერი ადმინისტრატიული აპარატი და შემუშავებული სტატისტიკა, ჩვენ ჩამორთმევის დროს საქმე გვექნება წვრილ მწარმოებლებთან, რადგან მსხვილი მეურნეობა ჩვენში ჯერ არ არსებობს. და ვინ იქნება ისეთი თავხედი, რომ ხალხის დიდ უმრავლესობას ჩამორთმევა გაუბედოს მტკიცე ფასებში, როცა ფულის კურსი დაცემულია და ჩამორთმეულ სურსათის სამაგიეროთ არაფრის მიწოდება არ შეუძლია.

ამ გარემოებას ეტყობა, ანგარიშს უწევს ერობათა ბიურო, რომელიც რეკვიზიციის უფლებას და მტკიცე ფასების დაწესებას არ ითხოვს. მაგრამ ამ შემთხვევაში რა აზრი აქვს სადგურების დაკეტვას? შესაძლებელია ვიფიქროთ მხოლოდ ერთი რამ: სადგურების დაკეტვით და გადატან-გადმოტანის მონოპოლიურ უფლებით, ბიურო ფიქრობს აიძულოს სურსათის პატრონი, რომ მან სურსათი დაუთმოს. ბიუროს ფიქრით კერძო ვაჭარი ვერ შეიძენს სურსათს, რადგან მას გადატან-გადმოტანის უფლება არ ექნება და მდგომარეობის ბატონი ერობათა ბიურო გახდება. არსებითად ეს იგივე იძულებითი ჩამორთმევაა, მხოლოდ ერთობ მარტივად მოფიქრებული: საჭირო აღარ იქნება მეურნესთან ბრძანებით მისვლა და ურჩობის დროს სამხედრო ძალის მიყვანა. მაგრამ ეს ისეთი გასაოცარი გულუბრყვილობაა, რომ მას ყველა ადვილათ შეამჩნევს განსაკუთრებით კი მწარმოებელი და ვაჭარი და ამიტომ სადგურების დროებით დაკეტვას ისინი უპასუხებენ სურსათის გაყიდვის დროებითვე შეჩერებით. ასეთ პირობებში კი სასურსათო ორგანიზაციები მხოლოდ იმდენის შეძენას შეძლებენ, რამდენიც თითონ მათთვის იქნება საჭირო და ტყუილ-უბრალოდ დაიხარჯება აუარებელი ფული და ენერგია.

ამას კიდევ შეურიგდებოდა კაცი, რომ დიდი საფრთხე არ იყოს მოსალოდნელი: სადგურების დაკეტვით ჩვენ ხელოვნურად გამოვიწვევთ ქალაქების დამშევას და მცხოვრებთა აღელვებას. გვეტყვიან: მოტანა არ ექნება აკრძალული იმას, ვისაც პირადი საჭიროებისთვის აქვს შეძენილიო. მაგრამ ამის შესამოწმებლად საჭირო იქნება ორგანიზაციების შექმნა, რაც ერთობ გაურთულებს საქმეს წვრილ მომხმარებელს ან მიღებული იქნება ერთგვარი ნორმა, მაგ. ხუთი ფუთი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ვინ შეუშლის ხელს სპეკულიანტს, რომ შეძენილი სურსათი პატარ-პატარა პარტიებათ დაჰყოს და ისე გადმოზიდოს, რაც ისევ წვრილ ხალხს დააწვება მძიმე ტვირთად, რადგან სპეკულიანტი ზედმეტ ხარჯებს სურსათის ფასს დაადებს და საქონელს გააძვირებს.

რომელი მხრიდანაც არ უნდა გასინჯოთ ერობათა ბიუროს სასურსათო პოლიტიკა, ის მხოლოდ ცხოვრების არევ-დარევას და სურსათის გაძვირებას შეუწყობს ხელს.

არის კიდევ ერთი გარემოება, რომელსაც ყურადღებას არ აქცევენ: გადატან-გადმოტანის შეზღუდვა ხელს შეუწყობს სურსათის საზღვარ გარეთ გაზიდვას, რაც დღესაც ხდება ჩვენი სანაპირო ადმინისტრაციის სისუსტის გა-

დღეს

მოკავშირეებს აზრათ აქვთ პოლონეთში გენ. ჰალერის მეთაურობით ჯარი გაგზავნონ.

ომის პასუხისმგებლობის კომისიის განცხადებით დამნაშავენი სამართალში იქნებიან მიცემულნი. გერმანიის არმიის წინააღმდეგ შედგენილია საბრალმდებლო ოქმი.

ლოიდ ჯორჯის სიტყვით, მოკავშირეთა მიზანია ძლიერი პოლონეთის შექმნა. ამ აზრით, დანციგს პარიზის კონფერენცია პოლონეთს გადასცემს.

ინგლისური პრესა მოითხოვს, რომ თითოეულმა სახელმწიფომ ზომები მიიღოს რუსეთის და უნგრეთის საბჭოთა [illegible] წინააღმდეგ.

ბერძენეთის სამხედრო შტაბის ცნობით ოდესის მიდამოებში ბერძენთა ჯარებმა ბოლშევიკები დაამარცხეს.

მო, მაგრამ აღნიშნულ პოლიტიკის წყალობით კიდევ უფრო გაძლიერდება.

მაშ რა ვქნათ, შეგვეკითხებიან. ჩვენ ვამბობთ: რეკვიზიცია შეუძლებელია ჩვენში, სადაც წვრილი მეურნეობა ბატონობს. ყოველ შემთხვევაში საჭიროა წინასწარი მზადება, სტატისტიკური მასალის შეგროვება და დამუშავება და შემდეგ ამა თუ იმ ნაბიჯის გადადგმა. სადგურების დაკეტვა კი თვალდახუჭულ საქციელს უფრო.

ჩვენის აზრით ყველაზე უმჯობესია ერობათა და ქალაქთა კავშირმა აწარმოოს სასურსათო საქმე, მაგრამ არა ბიუროკრატიულ და პრივილეგიების საშუალებით, არამედ შესაფერი ლიცენზიით და უნარის გამოჩენით. დეე ყველამ თავისუფლად შეიძინოს სურსათი და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ისარგებლონ იმ ავტორიტეტით და მცხოვრებთა ნდობით, რომელსაც ისინი თავიანთ მოღვაწეობით დაიმსახურებენ, თორემ საზოგადოებრივ ორგანიზაციის სახელი და პრივილეგიები რომ არ კმარა, ეს ბევრ კოოპერატივის ბნელმა საქმიანობამ უკვე ცხადყო.

ჩვენ მოვითხოვთ საზღვრების მაგრათ ჩაკეტვას, რომ გარეთ სურსათი არავინ გაიტანოს, ხოლო შიგნით მეურნეობის დიდ მიმოსვლის სრულ თავისუფლებას და ამ საქმეში საზოგადოებრივ ორგანიზაციების ყოველგვარ პრივილეგიების გაუქმებას.

ძველი მონასტერი

სოც.-ფედერალისტების პარტიაში დიდი არევ-დარევაა. პარტია ირღვევა, ნაწილდება, პროგრამულ-ტაქტიკური დუღილი თანდათან ძლიერდება და ლამის არის პარტიის მთლიანობა შთანთქას.

ეს სენი თანდაყოლილი თვისებაა ამ პარტიისა. არც ერთ პარტიას არ განუცდია ამდენი რყევა, აზრთა ცვალებადობა, მერყეობა და [illegible]. ამ პარტიის ისტორია მეტად საინტერესო დოკუმენტი იქნება ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების დასახასიათებლად.

ძველად პარტია ასე თუ ისე ახერხებდა ამ აზრთა სხვადასხვაობის ერთად თავის მოყრას და აშკარა რასკოლს თავს არიდებდა. დღეს ეს შეუძლებელი შეიქნა და მის წიაღში ნაწილი მაშვრალთა ჯგუფი იდეოლოგიურად განმტკიცდა და მის წინააღმდეგ ბრძოლის დროშა აღმართა. დარჩენილი ნაწილი თავის პოზიციას თავ-გამოდებით იცავდა და მაშვრალების [illegible] ინტერესებით გამოდიოდა.

მაგრამ, როგორც ჩანს რღვევის პროცესი ჯერ კიდევ არ დასრულებულა, რასაც, უეჭველია, ხელი შეუწყო დამფ. კრების არჩევნებმა. არჩევნებში პარტია სასტიკად დამარცხდა. ამ დამარცხების შედეგი უნდა ყოფილიყო ტაქტიკის გადასინჯვა და აი იწყება ისევ ახალი გზის ძებნა და „სახალხო საქმეც" დღე-ში [illegible] ცვლის შეხედულებას.

ჩვენ არა ერთხელ გვიწინასწარმეტყველებია ამ პარტიის ასეთი მწარე ხვედრი. პარტიას, რომელიც არ ეყრდნობა ერთ რომელიმე განსაზღვრულ საზოგადოებრივ კლასს, არც შეიძლება სხვა ბედი ეწვეოდა. პარტია, რომელიც ცდილობდა სხვადასხვა ჯგუფების ერთი მეორის მოწინააღმდეგე ინტერესების შეთანხმებას, ცხადია დაბოლოს უნდა დარღვეულიყო და ირღვევა კიდეც.

პარტიას გამოეყვნენ სინდიკალისტები. ახლა თავი იჩინა მიკრეხილმა ბოლშევიზმმა, რომელიც, თუ დავუჯერებთ „სახალხო საქმის" წერილებს, არც ისე სუსტია ამ პარტიაში. ამ რიგად, ახლო მომავალში უნდა ველოდეთ კიდევ მეორე ჯგუფის, თუ გნებავთ არა, იმ მკაცრ ოპოზიციას, რომელიც აღარ ეტევა პარტიის ჩარჩოებში და აშკარავდება საჯაროთ, როგორც ეს იყო ქალაქის საბჭოს სხდომაზე, როცა ბ. მდივანმა განაცხადა, — ლიანტის აზრი ჩვენ არ მოგვეწონება.

ჩვენი ჩამორჩენილი ცხოვრება კიდევ ითმენდა ამ პარტიის არსებობას. წარმოებით ცხოვრება ვითარდება, რამდენათ კლასები უფრო ყალიბდება, იმდენათ საშუალო ჯგუფების ბედი ტრაგიკული ხდება და ამ ტრაგედიას ვერ ასცდებოდა, რასაკვირველია, ვერც ამ ჯგუფის ინტერესების გამომხატველი პარტიები. ასე ყოფილა ყველგან და ასე უნდა ყოფილიყო ჩვენშიაც. ტრაგედიის პროცესი უკვე დაიწყო და ფინალის ჩამოშვება სავსებით დამოკიდებულია ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ განვითარების ტემპზე.

პრესა

„სალი კლდე" მოტრფიალურ მორალს ჰქადაგებს ქალაქის თვითმართველობის გაფიცულთადმი დამოკიდებულებაში. იგი სწერს:

„რასაკვირველია, ჩვენის თვალსაზრისით არამც თუ არ გამართლდება, პირიქით დასაგმობია ის გაფიცვა, რომელსაც აწარმოებს ქალაქის მოსამსახურეთა ერთი ნაწილი, მაგრამ, როგორ უარყოფს ამას და გაფიცვებით ებრძვის სოციალ-დემოკრატია, სრულებით გაუგებარია. იგი გულახდილად ამბობს, რომ გაფიცვა ეს ძალადობაა, უძლიერესი საშუალებაა მუშათა ხელში კაპიტალისტებთან, მეურნეებთან ბრძოლისა და ფაშრო დემოკრატიასთან ბრძოლაშიაო. გვესინჯოთ ეს დებულება უფრო დაწვრილებით. თუ კი კაპიტალისტთან შეიძლება ბრძოლა ასეთი უმკაცრი საშუალებით და ხშირად მისი საქმის მოსპობამდის მიყვანაც (ბილეთ ბათუმის ნავთის ქარხნებში; სარაჯიშვილის კონიაკის ქარხანა 1905 წ. და ათასი სხვა), რატომ არ შეიძლება გაფიცვა ისეთ დაწესებულებაში, რომელიც საცხოვრებელ მინიმუმს არ გაძლევს? იმიტომ რომ „იგი დემოკრატიის ხელშია". გამოდის რომ ჩვენ სოციალ-დემოკრატიას არც ბრალი, არც დანაშაული და იმის მაგიერ რომ განათლებულ ქვეყნებიდან ესესხა რამე, ჰოტენტოტების მორალი შეუთვისებია: თუ მე მოგკლავ კარგია, თუ შენ მომკლავ ცუდია, თუ მე გაგძარცვე დემოკრატიზმია, თუ შენ გამძარცვე—ლანძღვა ... და ამისთვის დაჯერება გზების და დაისჯება იმისთვის: „გაგდებთ სამსახურიდან, სხვებს დავაყენებთ და სამართალშიაც მიგცემთ". საკვირველი მეტამორფოზა ხდება: წინად არა მარტო სოციალ-დემოკრატია, როგორც პარტია და მმართველობა, არამედ პერსონალურადაც სწორედ ისინი, რომლებიც ეხლა ჰგმობენ გაფიცულებს, ცეცხლს აფრქვევდა ყველას ვინც გაფიცვის წინააღმდეგ იტყოდა რამეს, ეხლა კი"?

რომელიმე ამბობდნენ: ვისაც იუმორის გრძნობა, ჰკითხეს წარსულს. „სალი კლდის" „გუშინდელი" ასე მისცემთ: ისინი ვერ ამჩნევენ, რომ სოციალ-დემოკრატია ებრძვის არა გაფიცვას და გაფიცულებს, არამედ იმ დეზორგანიზატორებს, რომლებმაც ფინჯანში გაითელეს მუშათა ორგანიზაციების წესები სურვილები. „სალი კლდე" ნაცვლად არ „ოპოზიციონერობს" სოციალისტური „სახალხო საქმე". ის უმეცრულად იმით, რომ „მთავრობას განუზრახავს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს და შეცვალოს სამინისტროების ძველი მოხელეები ახლებზე, შემცირება შტატის და ამ გზით გაიაფებისათვის ცხოვრება" და წინასწარ მეტყველობს:

„ჩვენ შეგვეძლება ეხლავე ვსთქვათ, რომ მოსამსახურეთა შეცვლა ახლებზე, ან შემცირება მათი რიცხვისა დღევანდელ მდგომარეობაში მხოლოდ საქმეთა გართულებას და მოსამსახურეთა გაჭირვებას გამოიწვევს და არა რაიმე სერიოზულ ზომას".

ყოველი დემოკრატიული მთავრობა ვალდებულია შეამციროს შტატი და დაუქვემდებაროს ის სახელმწიფოს ცხოვრების პირობებს, ფუფუნებისა და მოთხოვნილების შეზღუდვას. და ჩვენ გვიკვირს, რატომ ვერ გაუგია ეს მარტივი აზრი „სახალხოს" პუბლიცისტებს, რომლებიც ასეთის დემაგოგიით უმასპინძლდებიან მკითხველებს:

„შტატების საკითხზე ლაპარაკის მაგიერ ჩვენთვის უფრო საყურადღებო იქნებოდა გაგვეგო მაგალითად მიწათ მოქმედების სამინისტრო რას აკეთებს საქართველოს ტყეების დაცვის საქმეზე, რომელზედაც ხომ მეტად ერთ დროს ბევრს ლაპარაკობდა და რასაც დღეს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ექნებოდა? რა მდგომარეობაშია სოფლის მინდვრების დათესვის საქმე ამ ჟამათ, რას აკეთებს სამინისტრო, ხოლო გზათა უწყებაში ახალი გზების პროექტები რომლები ხნით მიეცემიან განსახორციელებლად? ნაციონალიზებული შრომის სამინისტრო სად ჰქნის შრომის გაუმჯობესების პირობებს და ამ ქვეყანაში რას აკეთებს უმუშევრობის შესამცირებლად, გაჭირვებულების, გაფიცულება და ხაზიან მუშების ბრძოლის ლიკვიდაციისათვის? სად არის მისი გადამჭრელი და რეალური პოლიტიკა?"

აქ ჩამოთვლილ საქმეებს ესაჭიროება დიდძალი კაპიტალი. განსაკუთრებით უმუშევრობის შესამცირებლად საჭიროა სულ სხვა გვარი პირობები, რომლის შექმნა მთავრობის ხელთ არ არის. ეს კარგათ იციან თვითონ ფედერალისტებმა იმ დროს, როცა მათი კაცები მთავრობაში იჯდნენ. რატომ შეიცვალა დღეს მათი „მსოფლმხედველობა"?

საქართველოს გარშემო

ყუბანი და საქართველო.

ყუბანიდან მიღებული გაზეთების წაკითხვის შემდეგ აშკარად სჩანს, რომ საქართველოს საკითხის შესახებ იქ ორი მიმდინარეობაა.

ახლა ხშირადებით აღარ სწერენ ყველა გაზეთები საქართველოს წინააღმდეგ, როგორც ეს ხდებოდა გამოყოფის პირველ დღეებში.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობას მისი მომხრენი ყუბანში უცქერიან თავისებურად, რაც შემდეგში გამოიხატება:

საქართველო, ყუბანი, დონი და სხვა ახალ შექმნილი ერთეულები ყოფილ რუსეთის სახელმწიფოს ტერიტორიაზე ჯერჯერობით ეწყობიან, მაგრამ შემდეგ ერთდებიან ფედერაციული კავშირის საფუძველზე.

ასე სდგას იქ საკითხი პრინციპიალურად.

მაგრამ საკითხის ასე დაყენებას ეწინააღმდეგებიან მთლიანი, განუყოფელი რუსეთის აღმდგენნი. ამ მიმდინარეობის გამომხატველი რეალური ძალა არის იქ მოხალისეთა ჯარი—გენ. დენიკინის, ლუკომსკის, დრაგომიროვის და სხვათა სარდლობით.

იდეურ სარჩულს ამ ხალხს აწვდის მონარქიის მომხრე პროფესორები და პოლიტიკური მოღვაწენი, რომლებიც შემოკრებილნი არიან ცნობილი ვ. შულგინის მიერ დაარსებულ გაზეთ „ველიკაია როსსია"-ს გარშემო.

საქართველოს საკითხი ამ ჯგუფის აზრით გადაჭრილია.

საქართველო რუსეთის ტერიტორიის ნაწილია,—მორჩა და გათავდა!

მაგ. „ველიკაია როსსია"-ში ა. ვასილიევი ეხება რა სოჭის ოლქში მომხდარ ამბებს, სწერს: „საქართველო არსებობის ფაქტით არ არის ჩამოშორებული რუსეთისაგან. საქართველოს უფლებრივი მდგომარეობა დღემდე უცვლელია და ეგრე დარჩება, ვიდრე რუსეთში დამყარებული უმაღლესი ძალა-უფლება არ შეცვლის მას. ამ მხრით ახლა უფლებრივ სფეროში არავის არ შეუძლია შეცვალოს ვითარება. შესაძლებელია მხოლოდ ფაქტიური მდგომარეობა შეიცვალოს—ასეთი თუ ისეთი ოკუპაცია, რომელიც სამგვარი იყო: ოსმალების, გერმანელების და ბრიტანელების მიერ,—მაგრამ საერთაშორისო და სახელმწიფოებრივი უფლების თვალსაზრისით საქართველო არის რუსეთის მხოლოდ პროვინცია" (№ 50).

საერთოდ ამ წერილში ის აზრია გატარებული, რომ საქართველო და საერთოდ ამიერ-კავკასია რუსეთის პროვინციაა, ინგლისელებმა მიაბრძანეს მისი დროებითი ოკუპაცია. ინგლისის ჯარი იქ დაიდგება, წესრიგს დაამყარებს და შემდეგ რუსეთს გადასცემს ამ მხარეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მოხალისეთა ჯარი კავშირს გასწყვეტს ბრიტანეთთან, რაც ახლა ომს გამოიწვევს, რაც ინგლისისთვის ხელსაყრელი არ იქნება, ვინაიდან ლოიდ ჯორჯმა განაცხადა „მეორე ჯერ ომს ინგლისი არ დაიწყებსო."

აქ, ასე ვთქვათ, „მეცნიერულად" ასაბუთებენ, რომ საქართველო რუსეთის პროვინციაა და თუ ეს ინგლისმა არ შეისმინა, ომის წარმოება მოგვიწევს მასთანო!

უფლებრივი თვალსაზრისი და მუქარა ინგლისის მიმართ, აი რა არის მოხალისეთა „საბუთი"!..

საქართველოს დამოუკიდებლობა ხომ სასაცილოდაც არ ყოფნით!.. სოჭის დაკარგვის შემდეგ ისე გრძნობენ თავს, თითქოს თვალისჩინი უკვე შემოაკლდათ იყვნენ..

ამ გვარი შეხედულებისაა ერთი ჯგუფის ხალხის კამპანია საქართველოს წინააღმდეგ.

როგორ უცქერიან საქართველოს მისი მეგობრები?

იმ ხანებში, როდესაც გენ. დენიკინმა შემოტევა დაიწყო სოჭის ოლქში, ზოგიერთ გაზეთებში და პოლიტიკურ წრეებში ამ მოვლენამ უკმაყოფილება დაბადა იმიტომ, რომ ყუბანი უნდა ებრძოდეს ბოლშევიზმს, ჩრდილოეთიდან მოსულ საფრთხეს და არა საქართველოს, სადაც ასე თუ ისე დაცულია წესრიგი, ბოლშევიზმს გასავალი არ აქვსო და სხ. ომი საქართველოსთან ჩვენ განგვამარტოებს და ადვილათ დაგვამარცხებენ ჩრდილოეთიდან შემოსეულნი „მემარცხენენი" ან მემარჯვენენიო. („კუბ. კრაი" № 52).

იმავე ხანებში მოხდა ყუბანის რადის კრების სხდომა, სადაც არჩეულა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი ან რა პირობებში შეიძლება ახლად შექმნილი რესპუბლიკებისაგან კავშირის შეკვრა.

ამ თათბირზე ორატორები აღნიშნავდენ, რომ მოხალისეთა ჯარმა იმ ზომამდე გადაგვამტერა საქართველო, რომ ნაკლებია იმედი მისი ჩვენთან კავშირში შემოსვლის. თუ ასე გაგრძელდა საქმე, თუ ჩვენ საქართველოსთან სხვა ენა არ გამოვნახეთ, ის ჩვენთან კავშირს უარყოფს და პარიზის საზავო კონგრესზე კიდევაც მოითხოვს რაც სურსო.

მაგ. რადის წევრი ჩორნოპისოვი ამბობს: „ყუბანის დამოკიდებულება საქართველოსთან რაიმეც აზირებულის ხასიათისაა. საქართველოს დემოკრატიას არავის დროს არ უცქერია რუსეთის დემოკრატიასთან კავშირის გაწყვეტა. საქართველო იმით არის დაინტერესებული და იმას შესცქერის, თუ რა გვარი წესწყობილება დამყარდება რუსეთში. უკეთუ რუსეთში ძალა-უფლება დემოკრატიის ხელში დარჩება, საქართველოც ჩვენთან იქნება; თუ ისეთ ხალხს ჩაუვარდა რუსეთში ძალა უფლება ხელში, რომლებიც დემოკრატიას ყელში წაავლებენ ხელს, საქართველოს უნდა გამოვემშვიდობოთ".

მეორე წევრი რადისა მაკარენკო ამბობს: „საქართველო ჩვენ არ შემოგვიერთდება იმიტომ, რომ მოხალისეთა ჯარმა დაიკავა სოჭი. საქართველო იძულებული იქნება ჩამოშორდეს რუსეთს, რათა ამ სახით უზრუნველჰყოს საკუთარი პოლიტიკური წყობილება, რომელიც შეეფერება ქართველი ხალხის სურვილებს".

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ რადის ამ კრებაზე თათბირზე საქართველოს წინააღმდეგ ხმა არავის ამოუღია.

ერთნი აღნიშნავდენ საქართველოსთან და სხვა მეზობელ სახელმწიფოებთან კავშირის დაჭერას და იმედს გამოსთქვამდენ, რომ ეს შესაძლებელია. წინადადებას იძლეოდენ დელეგაციების გაგზავნის შესახებ საქართველოში და სხვ.

მეორენი საკითხს უნდობლათ უცქეროდენ, განსაკუთრებით საქართველოს მიმართ,—მეტად ფრთხილად მოეპყრობოდენ საქართველოს და ამიტომ ის ჩვენთან ლაპარაკსაც არ მოისურვებსო.

ასე უცქერის საქართველოს ყუბანის პოლიტიკურ მოღვაწეთა ერთი ნაწილი. რეალური ძალით სუსტნი, სიტყვებით მაინც არ გვემტერებიან!..

როგორც ზემოთ დავინახეთ, სულ სხვანაირად ეპყრობიან საქართველოს რეალური ძალის მქონენი. თვით იმათ, რომელნიც საქართველოს სიტყვიერად არ ეხსენებიან ბოროტად, მოხალისეთა მწერლები ასე უპასუხებენ:

„ღმერთო, ლოზუნგისათვის—„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით",—ვოროპაინოვი არავითარ მნიშვნელობას არ აძლევს იმ ძალადობას და სისასტიკეს, რომელიც ქართველმა შოვინისტურმა დემოკრატიამ მოახდინა რუსის ხალხზე და წინადადებას აძლევს ყუბანის საკანონმდებლო რადას ე. ი. მთელი ყუბანის მცხოვრებთ ქართველი მოძმე ხალხი ადგილზე შეუფრინონ. ღმერთო დაგვიფარე ასეთი კანონმდებლებისაგან". („ჩერნ. მორე" № 136).

ჩვენ, რა თქმა უნდა, უმნიშვნელოთ არ ჩავთვლით იმ გრძნობიერ სიტყვებს, რომლებიც წარმოუთქვამთ, თუ შემდეგში წარმოსთქვამენ საქართველოს მიმართ ყუბანში ვინმე სხვაგან, მაგრამ დღეს მარტო სიტყვებით რომ ბევრი არაფერი გაკეთდება, ესეც კარგათ ვიცით..

სიტყვები რჩება ყუბანის რადაში, საქართველოს წინააღმდეგ კი უსიტყვოთ, ზარბაზნებით მიდის გენ. დენიკინი...

ამიტომ მოხალისეთა ჯარის ზარბაზნებს უნდა დაუპირდაპირდეს საქართველოს დემოკრატიის ზარბაზნები. სხვა გამოსავალი ჯერ-ჯერობით არ არის...

ეს წერილი დაწერილი იყო, როცა გენ. დენიკინისაგან ჩვენს მთავრობას ცნობა მოუვიდა—არ მსურს რა ძმათა შორის სისხლის ღვრის განგრძობა, თანახმა ვარ მოლაპარაკება გავმართოთ სოჭის ოლქის შესახებო.

არ ვიცით რამდენად მიაღწევს ეს მოლაპარაკება სასურველ შედეგს. თუ მივაღწევთ ზავს, ჩვენ პირველი ვიქნებით მოხარული ამის. მაგრამ თუ დენიკინის დაპირება ცარიელ სიტყვებათ დარჩა, ჩვენ უნდა მზათ ვიყვეთ თვის ინტერესების დასაცველათ.

დამფუძნებელი კრება

29 მარტის სხდომა.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე, კანონ-პროექტი დამფუძნებელ კრების წევრების მიერ სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებში თანამდებობის შეუთავსებლობაზე.

რ. არსენიძე. ამ კანონ-პროექტის ძირითადი იდეა არის ის, რომ დაცულ იქნას ღირსება დამფუძნებელ კრების წევრის და თავისუფალი იქნას იგი ყოველივე შეზღუდვისაგან და თუ ეს მიღებულია და გატარებულია ყოველივე საკანონმდებლო ორგანოს წევრთათვის, მით უფრო უნდა გავატაროთ ეს დამფუძნებელ კრების წევრთათვის, რომელნიც ხალხის უმაღლესი წარმომადგენლები არიან და მისი ნების ყოფის გამომხატველნი. კანონმდებელი თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარ შეზღუდვისაგან, იგი არავის გავლენის ქვეშ არ უნდა იყოს და თავისუფლათ უნდა გამოხატავდეს თავის ნების ყოფას. საფრანგეთში თანამდებობის შეუთავსებლობა პალატის წევრების მიერ მიღებულია, იქ პალატის წევრი არ შეიძლება ვინმეზე დამოკიდებულ იყოს. პალატის წევრს აქვს უფლება მთავრობაში შესვლის. ეს არც ხლესავს პალატის წევრის უფლებებს, რადგანაც სამინისტრო არ არის არავისაგან დამოკიდებული. შვეიცარიის კონსტიტუციის 77 მუხლში ნათქვამია, რომ ნაციონალურ საბჭოს წევრს არ შეუძლია კავშირთა საბჭოს წევრობა (მთავრობა) და აგრეთვე ეკრძალება მეორე პალატის წევრობა.

ავსტრიაში თუ მოხელე აირჩიეს საკანონმდებლო ორგანოში, ის არ არის ვალდებული დატოვოს თავისი სამსახური. ინგლისში ყველა მოხელე განდევნილია საკანონმდებლო ორგანოდან. ორატორი აღნიშნავს აგრეთვე სხვა ქვეყნების წესსაც კანონმდებლობის მიერ სხვა თანამდებობებს შეუთავსებლობაზე და დაასკვნის, რომ ყველგან ცოტად თუ ბევრად გატარებულია პრინციპი შეუთავსებლობაზე. ჩვენ ამ კანონ-პროექტის შედგენის დროს ვხელმძღვანელობდით იმ ძირითადი იდეით, რომ კანონმდებელი დამოუკიდებელი და თავისუფალი უნდა იყვნეს ყოველგვარ შეზღუდვისაგან, აგრეთვე ვეცადეთ, რომ შეგვეფარდებინა ეს კანონ პროექტი ჩვენი ქვეყნის პირობებთან. დამფუძნებელ კრების წევრს შეუძლია იყოს მთავრობის წევრი, აგრეთვე გვარდიის შტაბის წევრებს შეუძლიათ დამფუძნებელ კრების წევრობაც. გვარდიის შტაბი ეს უმაღლესი პოლიტიკური დაწესებულება არის და არავისაგან დამოკიდებულიც არ არის.

რაც შეეხება თვითმართველობებს, წინათ ესენი მხოლოდ ეკონომიური დაწესებულებანი იყვნენ, ეხლა კი, ახალი კანონების მიხედვით თვითმართველობები ადმინისტრატიულებელი ძალაა, და მისი წევრები დანიშნული კი არ არიან, არამედ—ისევე არჩეული, როგორც პარლამენტის წევრები. იბადება კითხვა, შეიძლება თუ არა თვითმართველობების აღმასრულებელ ორგანოს გამგეობის წევრები იყვნენ ერთ და იმავე დროს დამფუძნებელი კრების წევრები? ამ კითხვამ დიდი კამათი გამოიწვია და ბოლოს კომისია დადგა იმ აზრზე, რომ თვითმართველობების გამგეობის წევრები, რომლებიც არ ექვემდებარებიან პირდაპირ ცენტრს, არამედ პასუხისმგებელნი არიან მხოლოდ თავის ამომრჩევლების წინაშე, შეუძლიათ იყვნენ დამფუძნებელ კრების წევრებათ. რაც შეეხება ჯამაგირებს, კომისიამ ერთხმად დაადგინა, რომ დამფუძნებელ კრების წევრები ჯამაგირს მხოლოდ ერთ ადგილიდან იღებენ. ჯამაგირების რაოდენობა კომისიის მიერ გადაწყვეტილია 1500 მ. ჯამაგირების დაწესების დროს მხედველობაში მიღებულ იქნა სახელმწიფოს ფინანსიური მდგომარეობა და 1500 მ. მიღებულ იქნა სწორედ ამ მოსაზრებით.

იოს. ბარათაშვილი აღნიშნავს, რომ თვითმართველობების წევრი არ უნდა იყოს დამფუძნებელი კრების წევრათ. თვითმართველობების გამგეობას აწევს ბევრი საქმე და აგრეთვე მათი მოქმედება შეზღუდული არის ფინანსიური და წესებულების მიერ. დამფუძნებელი კრების წევრი კი თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარ შეზღუდვისაგან.

ლ. ნათაძე უპასუხებს ბარათაშვილს და აღნიშნავს, რომ რეალური მოსაზრება მოითხოვს იმას, რომ თვითმართველობების წევრები იყვნენ დამფუძნებელ კრების წევრებათაც. თუ ჩვენ დამფუძნებელ კრების წევრებს ავუკრძალავთ თვითმართველობებში მუშაობას, ამით საქმეს დიდ ზიანს მოუტანთ, რადგანაც მცოდნე პირებს მოვაკლებთ თვითმართველობებს. ორატორი აღნიშნავს, რომ საფრანგეთის 91 წლის კონსტიტუციაში არ იყო ნათლად გამოხატული ის კითხვა, თუ რა კავშირი უნდა ყოფილიყო ცენტრს და პროვინციას შორის და სწორედ ამ ნაკლმა მიაყენა კიდეც საფრანგეთს დიდი ზიანი და სწორედ თუ ჩვენ გვინდა მუდმივი კავშირი არსებობდეს ცენტრის და პროვინციას შორის, თუ გვინდა, რომ აქ გაისმოდეს პროვინციის ხმა, მაშინ თვითმართველობების წევრებს შეძლება უნდა მივცეთ მიიღონ მონაწილეობა დამფუძნებელი კრების მუშაობაში.

გ. გვაზავა წინააღმდეგია, რომ გვარდიის შტაბის წევრებს უფლება ჰქონდეს დამფუძნებელ კრების წევრობის, აგრეთვე მოითხოვს მინისტრების წევრებათ ხმის მიცემის უფლება.

ივ. გობეჩია წინააღმდეგია, რომ დამფუძნებელ კრების წევრი სხვა ნაწილებობას ასრულებდეს.

რ. არსენიძე. მე მეგონა, რომ აქ პრინციპიალური დავა იქნებოდა, ამის მაგივრათ აქ ზოგიერთ დებულებებს პრაქტიკულის თვალსაზრისით მიუდგნენ. ერთი იძახიან, გამგეობის წევრები დარჩნენ დამფუძნებელ კრებაში, გვარდიის შტაბის წევრები კი არა. ყველა ეს დაწესებულებანი ერთ პრინციპზე არიან აგებულნი და თუ გამგეობის წევრებს აქვს უფლება დამფუძნებელ კრების წევრობისა, რატომ არ უნდა ჰქონდეთ შტაბის წევრებს? ჩვენ არ ვაძლევთ უფლებას მოხელეებს იყვნენ დამფუძნებელ კრების წევრად და სწორედ ამიტომ ეძლევა პროფესორებს უფლება დამფუძნებელი კრების წევრობის, რომ ისინი დანიშნული კი არ არიან, არამედ—უნივერსიტეტის საბჭოს მიერ არჩეული. და ვინც ამბობს, რომ პროფესორი შეიძლება იყოს დამფუძნებელ კრებაში და გამგეობის წევრი კი არა, ის ლოღიკას ღალატობს. რა განსხვავებაა მოხელეს და გამგეობის წევრს შორის? ის განსხვავებაა რომ მოხელე შეიძლება გადაყენებულ იქნას, მისი უფლება შეზღუდულია, მას თავის უფროსი ჰყავს, მაგრამ გამგეობის წევრის გადაყენება არავის არ შეუძლია გარდა ამომრჩევლებისა. აქ ისეთივე დამოკიდებულება არის, როგორც დამფუძნებელ კრების და სამინისტროს შორის. რაც შეეხება გვარდიას, ის არის პოლიტიკური ორგანიზაცია. ეს არის შეიარაღებული რევოლუცია. დღეს თუ გვარდიელი ფრონტზე იბრძვის, ხვალ ის სახლს უბრუნდება და ჩვეულებრივ მოქალაქის უფლებას ასრულებს. მათი მდგომარეობა ჰქონის მხრივ ჯარისაც და შეიძლება არც დღის პოლიტიკის გარეშე იმყოფებოდეს. შტაბის წევრები არ ემორჩილებიან სამინისტროებს, ის დამოუკიდებელი ორგანიზაცია არის და მისი წევრები ხელისუფლების ფუნქციებს არ ასრულებენ.

კამათი შესწყდა. გადავიდნენ პროექტის მუხლობრივ განხილვაზე. გ. გვაზავა წინადადება შემოაქვს, რომ შტაბის წევრებს არ ჰქონდეთ უფლება დამფუძნებელ კრების წევრობის და მინისტრებს ერთდროულად ხმის მიცემის უფლება.

რ. არსენიძე უპასუხებს გვაზავას, აღნიშნავს, რომ შეუძლებელია დამფუძნებელ კრების წევრი იყოს და ხმის მიცემის უფლება კი არ ჰქონდეს, შეუძლებელია რომელიმე წევრს უფლება აეყაროთ. რაც შეეხება გვარდიას იგი რევოლუციის პირმშო და დამფუძნებელი კრება და გვ ისე შეზრდილი არიან ერთმანეთში, მათი ურთიერთმანეთით წარმო შეუძლებელია. გვარდია იცავს რევოლუციამ მოიპოვა და რევოლუციის ერთი მონაპოვართაგანი კი ფუძნებელი კრებაა.

კამათი შესწყდა. გვაზავას შესწორება უარყვეს. დანარჩენი მუხლები კამათის შემდეგ მიიღეს.

დ. ონიაშვილი მოახსენებს პროექტს დამფუძნებელ კრების 1919 წლის ხარჯთ აღრიცხვისას, ჯამიც შეადგენს 8179,010 მ. გუნდი შტატები. მიიღეს.

დასასრულ მოხდა კომისიების არჩევნები. სამხედრო კომისიაში სოც.-დემ. ჯიბლაძე სილ., ჯუღელი, დგებუაძე, სალუქვაძე, ლაძე ვლ., გუჯულა, აშურკოვი, ნიაშვილი, კაბარიშვილი, ელენდე. ს. ფედ. ს. მდივანი, სურგულაძე, ს. რ.—გობეჩია; კომისიაში: სოც. დემ. მ. ხარაძე, გულეიშვილი, ბაქრაძე, მახვილაძე, რამიშვილი, ლასტუკოვი, შენგელია, ნოდია, ლორია, (ს. ფ.), ასათიანი (ერ. დ.), შენ (ს. რ.).

თვითმართველობების სოც. ონიაშვილი, რუხაძე, ჭავჭანიძე, ლიშვილი, ცისკარიშვილი ძე, საღარეიშვილი, ჩიქავა, სამსონ ლავა (ს. ფ.), კედია (ერ. დ.), (ს. რ.).

აგრარულ კომისიაში—სოც. ლორთქიფანიძე, ნინიძე, ჩიხლაძე, შვილი, თევზაძე, ბიბილ, ნაშვილი, მაჭავარიანი, ასათიანი (ერ. დ.), შენგელაია (ს. რ.), ხ ლაძე (ს. ფ). იურიდიულ ში—არსენიძე, ონიაშვილი, ნინა სია, ფურცხვანიძე, ნ გვარიანი (ერ. დ.), ფ.) გობეჩია (ს. რ.).

გზათა კომისიაში: კოჯამიანი, ლაია, ლორია, დავარაშვილი, ხოშტარია. ს. მდივანი (ს. ფ) ძე (ერ. დემ.).

ხელოვნების კომისიაში: ჩხეიძე დ., არსენიძე რაჟ., ყვარელიძე, ნათაძე, ს. ფურცხვანიძე (ს. ფ.), ქიქოძე (ერ. დ.), გობეჩია (ს. რ.).

განათლების კომისიაში: ნათაძე

ყარაშვილი, ცინცაძე, შარაშენიძე, აბაშიძე ბიდარ, კიკვიძე, იმნაიშვილი, ბიული.

ჯანმრთელობის—გომართელი, მახვილაძე, აბესალომიშვილი, მერგვაძე, ტოროშელიძე, ნოდია, მაჭავარიანი.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

31 მარტი

რუსეთის საბჭოთა ცნობები.

საბერძნეთის მთავარი შტაბი იუწყება, რომ რუსეთში მყოფმა საბერძნეთის მეორე დივიზიამ სასტიკათ დაამარცხა ბოლშევიკები, რომლებიც კარგათ იყვნენ მომზადებული და რიცხვით 4 ჯერ აღემატებოდენ ბერძნებს, შეიპყრეს არტილერია და ტყვიის მფრქვეველები. ბოლშევიკებს ხელმძღვანელობდნენ გერმანელი ოფიცრები, რომელთაგან ბევრი ბრძოლაშივე იღებდა მონაწილეობას. ბერძნებმა 20 კილომეტრით წინ წაიწიეს, მრავალი ტყვე წამოიყვანეს და დიდი სამხედრო დავლა იგდეს ხელთ.

ფიქრობენ, რომ სპეციალურ კომისიის მიერ შემუშავებულ წინასწარ ხელშეკრულებაში შევა მუხლი, რომლითაც რწმუნებულები ვალდებულ იქნებიან ლიგის განუსაზღვრელ და დამოუკიდებელ წევრებათ. ლიგის გადაწყვეტილებანი შრომის, შეიარაღების, ამუნიციის, ოპიუმის და თეთრი მონების ვაჭრობის და სხვა. საკითხები, რომლებიც ჯერ კიდევ განსახილველია, შევლენ ძალაში მას შემდეგ, რაც მათ დაამტკიცებს—თვითეული დაინტერესებული ამ საკითხებში სახელმწიფოები. პირობები საერთაშორისო კონვენციის ცხოვრებაში გატარებისა, რომელიც წინათ ხელშეკრულების საფუძველი იყო, ეხლა თავმოყრილია მის უკანასკნელ ნაწილში. დაადგინეს, რომ ხალხთა ლიგამ იკისროს ამ კონვენციათა სისრულეში მოყვანა, მას შემდეგ, რაც მათ დაამტკიცებს თვითეული სახელმწიფო. მოკლე ხანში, ალბათ, მოხდება წინასწარი შეთანხმება ლიგის მექანიზმის ასამუშავებლად, ლიგის მთავარი ბინის გამორკვევა და სხვა. ასე რომ, თუ ხელშეკრულება დაამტკიცეს, ლიგას დაუყოვნებლივ შეეძლება დაიწყოს მუშაობა. უმთავრესი შესწორებანი, მაგალითად მონროს დოქტრინის დაცვა და რასიულ თანასწორობის საკითხი, ჯერ კიდევ გადაუწყვეტელია. ზოგიერთი ფიქრობს, რომ ამ საკითხებს განიხილავენ შემდეგ პლენარულ სხდომაზე. დანარჩენნი კი ფიქრობენ, რომ ლიგის კომისია განიხილავს მათ მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოხსენებებს მიიღებს.

„დეილი-მეილი“ იუწყება, რომ ოთხთა საბჭო, რომელიც აღჭურვილია თავიანთ ხალხის ნდობით, წინადადებას ძლევს ითათბიროს იმ ზომებზე, რომელიც უნდა მიიღონ რუსეთის და უნგრეთის საშიშროების წინააღმდეგ და გამოიმუშაონ ზავის ხელშეკრულების უკანასკნელი ფორმა.

ინგლისური პრესის ცნობები

ლორდ კერზონი ამბობს, რომ მოკავშირეთა მიზანია ძლიერი, გაერთიანებულ და ხანგრძლივი პოლონეთის შექმნა ისე, რომ მის ტერიტორიაზე არ მოსახლეობდნენ სხვა ერთვნების დიდი უმცირესობანი, რომლებიც მომავალში გახდებიან პოლონეთის დასუსტების და განხეთქილების მუდმივ წყაროთ. პოლონეთის სახელმწიფოსთვის დანციგის ნავთსადგურის გადაცემას პარიზის კონფერენცია განიხილავს და ალბათ დადებითად გადასწყვეტს მას.

ომის პასუხისმგებლობის კომისიამ გამოაცხადა, რომ დამნაშავეთ სამართალში მისცემენ. გერმანიის არმიის წინააღმდეგ შედგენილია საბრალმდებლო აქტი.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობაში გამართულ საგანგებო სხდომაზე პრეზიდენტმა ვილსონმა, ლოიდ ჯორჯმა, კლემანსომ, ორლანდომ და მარშალ ფოშმა სამხედრო თვალსაზრისით განიხილეს უნგრეთში მომხდარი ამბები და იმსჯელეს აგრეთვე პოლონეთში გენ. გალერის ჯარების გაგზავნის შესახებ.

უმაღლესმა სამხედრო საბჭომ მოიწონა წინასწარ ზავის სამხედრო საზღვაოსრო და საჰაერო პირობები და აგრეთვე პირობები ჰელიგოლანდის და კილის არხის შესახებ. ამ პირობების თანახმად გერმანიას ეკრძალება წყალქვეშა ნავების აშენება.

პარიზიდან მოსულ დეპეშაში ნათქვამია, რომ პრეზიდენტ ვილსონმა, კლემანსომ, ლოიდ ჯორჯმა და ორლანდომ გადასწყვიტეს დაუყოვნებლივ გამოიმუშაონ საზავო ხელშეკრულების წინასწარი პირობები და შეიტანონ ასში ყველა გადაწყვეტილება, რომელიც დღემდე მიიღეს. მათ იმედი აქვთ, რომ საზავო ხელშეკრულება მზათ იქნება მოკლე ხანში.

„ვესტმინსტერის გაზეთი“—ამბობს: სანამ ბოლშევიზმი იქნება რუსეთში, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხალხმა თვით უნდა გადასწყვიტოს თავის მართვა გამგეობის ფორმა და თუ თვით არ შეუძლია გადაარჩინოს თავი უბედურებისაგან, ჩვენ არ შეგვიძლია დავეხმაროთ მას. მაგრამ ბოლშევიზმმა თუ გადალახა თავისი საზღვრები და ცეცხლით და მახვილით შეიჭრა იმ ქვეყნებში, რომელსაც ჩვენ იმედიანათ ვუყურებთ, როგორც მაგალითად პოლონეთია, მაშინ ჩვენ იძულებული ვიქნებით დავიწყოთ მოქმედება.

ბრიტანეთის წითელმა ჯვარმა იკისრა გერმანიაში მყოფ 50,000 რუსეთის სამხედრო ტყვეებზე ზრუნვა.

საგარეო საქმეთა სამინისტროში

სომხეთის მთავრობის თავმჯდომარემ რ. ი. კაჩაზნუნმა ხუთშაბათს, 27 მარტს ინახულა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე, აღმასრულებელი ე. პ. გეგეჭკორი.

პარასკევს, 28 მარტს, ეგ. გეგეჭკორმა საპასუხო ვიზიტით ეახლა ბ-ნ რ. ი. კაჩაზნუნს.

ბ-ნი კაჩაზნუნი გაემგზავრა თფილისიდან ერევანს. შაბათს 29 მარტს, ის გასცილა საგარეო საქმეთა სამინისტროს კანცელარიის დირექტორმა, რომელმაც გადასცა მინისტრს, რომ საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის აღმასრულებელი მოკლებულია საშუალებას გასცილდეს იგი პირადათ, რადგანაც სასწრაფო მოხსენება უნდა გაეკეთის დამფუძნებელ კრებაში. ბ-ნმა კაჩაზნუნმა მადლობა გადაუხადა გაცილებისათვის და სთხოვა გადაეცა საგარეო საქმეთა მინისტრ ე. პ. გეგეჭკორისათვის, რომ მას ღრმად სწამს, რომ დამოკიდებულება მტკიცე კავშირით ამ ორ მეზობელ ერთა შორის.

ახალი ამბები

დღეს, საღამოს 6 საათზე, ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია შეერთებული სხდომა ს. ს. დ. მ. პ. თფილისის კომიტეტის, ყველა რაიონულ კოლექტივების და ქალაქის საბჭოს ფრაქციისა. ამხ. დიომიდე თოფურიძე წაიკითხავს მოხსენებას „საქართველოს ეკონომიური და ფინანსიური პრობლემები“.

◆ **ქალაქის გამგეობა** საყოველთაოდ აცხადებს, რომ თვითმართველობის ყველა განყოფილებები, კასსა და ბუღალტერია ნორმალურათ მუშაობენ. ის მოსამსახურენი, რომელნიც საბჭოს 25 მარტის გადაწყვეტილებით სამსახურიდან გარიცხულათ ითვლებიან, თუ სურთ ხელ-ახლა სამსახურს დაუბრუნდენ, უნდა განცხადება შეიტანონ გამგეობის სეკრეტარიატში აპრილის 8 მდე. ასეთი პირების სამსახურში მიღება მოხდება იმავე წესით, როგორც ახალ მოსამსახურეების.

◆ **თფ. ბეჭდვითი საქმის მუშათა** პროფესიონალურ კავშირის გამგეობა აცხადებს თავის წევრთა საყურადღებოთ, რომ 29 მარტს არავითარი რწმუნებულების კრება არ შემდგარა, ის ცნობა, რომელიც მოთავსებულია რუსულ გაზეთ „სოციალ-დემოკრატში“, თითქოს 1 აპრილისთვის მოწვეულ იყოს რწმუნებულების კრება, სადაც წითომ უნდა არჩეულ იქნეს 5 დელეგატის კონფერენციაზე გასაგზავნათ ბაქოში, სიმართლეს არ შეიცავს. გამგეობა აცხადებს, რომ რწმუნებულების კრების მოწვევა შედის გამგეობის კომპეტენციაში, ხოლო დელეგატების არჩევა—საზოგადო კრების საქმეა.

◆ **ღრმად დაგვამწუხრა** ძვირფასი ამხანაგის კოწია (ბოტო) ნოღაიძის სოხუმში ტრაგიკულად გარდაცვალებამ. მისებრ ენერგიული, თავდადებული და გამოცდილი მუშაკი სწორედ დღეს ესაჭიროება განსაცდელში მყოფ ჩვენს ქვეყანას. ვგლოვობთ ამხანაგებთან ერთად ასეთ მძიმე და დიდ დანაკლისს. დამფუძნებელი კრების წევრები მ. ხოშტარია, გ. ფილია, ა. ჩიქავა, ი. კვარაცხელია, ბ. ძველაია.

◆ **საქართველოს მოხელეთა პასუხისმგებელი არტელი.** საქართველოს საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენლების საბჭომ ქართულ მოხელეთა პასუხისმგებელ არტელისა და მასთან ქართულ ენაზე საბუღალტრო კურსების ორგანიზაცია სთხოვა საურთიერთო ნდობის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარეს, კონსტანტინე გოგიშვილს მიანდო. სხვადასხვა დაწესებულებისაგან და კერძო პირებისაგან არტელის წევრებს დაჩქარებით თხოულობენ. არტელმა წინადადება მიიღო აგრეთვე სახაზინო და კახეთის რკინის გზების მმართველობისაგან, რომ არტელმა მიიღოს თავის თავზე რკინის გზების კასების ოპერაციებისა და მასალების მიღება-გაცემის წარმოება; მოლაპარაკება აგრეთვე ერთმანეთისაგან. არტელში წევრებად ჩაწერა სწარმოებს: თფილისის სახაზინო სამეურნეო ბ. კ., ს. ტყემალაშვილთან, ამიერ-კავკასიის ბანკში—კ. მხეიძესთან, სახაზინო რკინის გზის სამმართველოში, მთავარ კასირთან, აგრეთვე კანცელარიასთან და პროვინციებში საურთიერთო ნდობის საზოგადოებებში. არტელში მიიღებიან ყოველი სამხედრო პირები, რომლებსაც სათანადო მოწმობა აქვთ.

◆ **საქველმოქმედო წარმოდგენა.** დღეს, 1 აპრილს, სახელმწიფო თეატრში მე VIII გიმნაზიის (ყოფილი სასულიერო სემინარია) დარბაზში მოწაფეთა სასარგებლოთ დადგმება ბლეშოსა და ხახანოვის მონაწილეობით: „რომეო და ჯულიეტა“ და „სოფლის პატრიოტები“. წარმოდგენის სამეცნიერო მიზანი, ეჭვი არაა, საზოგადოებას მრავლად მიიზიდავს.

◆ 30 მარტს სენაკში მოხდა ქალაქის მართველობის ხმოსანთა ხელ-ახალი არჩევნები. ხმები ამ რიგათ განაწილდა: სოც.-დემ. № 1 მიიღო 569 ხმა, გაიყვანა 12 ხმოსანი, სოც.-ფედ. სია № 2 გაიყვანა 2 ხმოსანი. სოც.-რევ. სია № 3 მიიღო 95 ხმა და გაიყვანა 2 ხმოსანი და ეროვნულ დემოკრატების სიამ № 4 მიიღო 170 და გაიყვანა 4 ხმოსანი (საქ. დემ. სააგ.).

◆ **აფთიაქებში მოსამსახურეთა გაფიცვა.** რადგანაც აფთიაქის მოსამსახურეთა ეკონომიური მოთხოვნილებანი არ დაკმაყოფილდა, მათ 31 მარტს შუადღის 3 საათიდან მუშაობისაგან გაფიცვა გამოაცხადეს. ღია დასტოვეს შემდეგი აფთიაქები: მეფისოვისა (ავლაბარში), გვანცელაძისა (მუხრანის ხიდთან), ბეხში (სოლოლაკში), ქალაქის აფთიაქი (გოლოვინის პროსპექტი), კოხის (ქსენიევისა და ელისაბედის ქუჩის კუთხე), გლიზერისა (რუსთაველის ქუჩაზე), პრივისბერტისა (ვლასნოვის ქუჩა) და შეფერის (ნაძალადევში).

◆ **რაჭა-ლეჩხუმის დამხმარე საზოგადოების** გამგეობის კრება დანიშნულია ოთხშაბათს, 2 აპრილს, საღამოს 6 საათზე, „სახალხო საქმის“ რედაქციაში.

◆ **განათლების სამინისტრო** გადავიდა ყოფილ კადეტთა კორპუსის შენობიდან პეტრე დიდის ქუჩაზე № 8.

◆ **გაზეთის ფასის გადიდება.** გაზეთების გამომცემლებმა დაადგინეს მუშების მოთხოვნილების დაკმაყოფილების გამო ყველა გაზეთების ფასი გადიდდეს მანეთ ნახევრამდე.

◆ **საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა** ორგანიზაციის ცენტრალური კომიტეტი და ჟურნალ „ახალი კვალის“ რედაქცია გადავიდნენ ახალ ბინაზე: საპირის ქ. ეგზარხატის ტუპიკი № 2. ბიური ღიაა ყოველდღე საღამოს 4—6 საათამდე. აქვე მოთავსებულია თფ. კომიტეტი და მერთხე რაიონის კოლექტივი ამ. მარქ. ორგ.—სი.

◆ **ამიერ კავკასიის უნივერსიტეტის** ქართველ სტუდენტობამ თხოვნით მიმართა სწავლა-განათლების მინისტრს, რომ მან შუამდგომლობა აღძრას მთავრობის წინაშე, რათა ყოველი ღონისძიება იქნეს მიღებული ხსენებულ უნივერსიტეტის თფილისში დასარჩენათ.

◆ **სამგლოვიარო დეპეშა.** „ლეჩხუმის მაზრის სახალხო გვარდიის წევრის ამხ. ერასტო ონიანის ვერაგულმა სიკვდილმა ბნელი ძალების წაქეზებით მეტად დაგვამწუხრა. საუკუნო ხსენება შენ, ამხ. ერასტო! სიკვდილი ბნელ ძალებს. ლეჩხუმის მაზრის სახალხო გვარდიის შტაბი“.

◆ **ქართულ კლუბში.** შაბათს, 5 აპრილს, გამართება დიდი ტრადიციული საღამო, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისა ღარიბ სტუდენტთა სასარგებლოთ.

კრება

თფილისის მესამე შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობის გამგეობა ამით აცხადებს, რომ იგი უკანასკნელათ იწვევს ყველა წევრებს საზოგადო კრებაზე, კრება, რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს, მაინც კანონიერათ ჩაითვლება. კრება დანიშნულია დღეს, 1 აპრილს 4 საათზე, მუშათა კლუბის დარბაზში (ვარანცოვის ძეგლთან „ზომონდში“).

ბოლშევიკები და ფედერალისტები

გაზეთ რუსულ „სოციალ-დემოკრატში“ მოთავსებულია შემდეგი ღია წერილი რედაქციისადმი ს. ჭავთარაძისა:

„საქართველოს დამფუძნებელ კრების სხდომების ანგარიშებიდან და „სახალხო გაზეთიდან“ („სახ. გაზ.“ 26 მარტ.) ჩვენ გავიგეთ, რომ სოც. ფედერალისტები გამოსულან დატუსაღებულ კომუნისტების დასაცავად.

ამ პარტიის პასუხისმგებელმა ორატორმა თავის „საპროგრამო“ სიტყვაში მთავრობის დეკლარაციის განხილვის დროს მოითხოვა დატუსაღ. ბოლშევიკების განთავისუფლება. „მაგრამ ჩვენი მოთხოვნილება დარჩა ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა შინა“, სწერს „სახალხო გაზეთი“. ჩვენ ამ გარემოების შესახებ არ შეგვიძლია არ გამოვთქვათ ჩვენი სიხარული, ვინაიდან საქართველოს მთავრობას რომ ყურად ეღო ფედერალისტების „ხმა“, მაშინ ჩვენ მეტისმეტ უხერხულ, არა სასიამოვნო მდგომარეობაში ჩავარდებოდით. ჩვენთვის ცხადია, რომ ამ პარტიის, რომელსაც „ერთ თავად გაუგებრობით“ ვთვლით და რომელსაც არა აქვს, როგორც არავითარი მომავალი, ისე არავითარი ფესვი საქართველოს საზოგადოების კლასებში, რომელიც მუდამ ჩვენ გვეყურადღებენ არ შეუძლია პატიოსნად და გულწრფელად კომუნისტების დაცვა. ჩვენთვის აგრეთვე ცხადია ისიც, რომ ფედერალისტები ჩვენს დასაცავად თუ გამოდიან, მხოლოდ განსაზღვრული მიზნით: ისინი დარჩენ მთავრობის გარეთ, ოპოზიციას აწარმოებენ და ჩვენის ხარჯით ცდილობენ თავის პოლიტიკური კაპიტალის გაძლიერებას, თავის ფესვებდაშლილი აქციების ფასების აწევას.

თებერვალში, როდესაც ჩვენ ჯერ ვიდრე მხრივ ალყა შემორტყმულნი ვიყავით კავკავში დენიკინის ჯარის მიერ და ცხრა დღის ჯოჯოხეთურ ბრძოლის შემდეგ იძულებული ვიყავით საქართველოს საზღვრებში შემოვეხიზნეთ და ჩვენს წინაშე იდგა ასეთი დილემა: ან მთლად უნდა ამოვწყვეტილიყავით, ანდა საქართველოს მთავრობას უნდა შევეფარებინეთ საქართველოში, მაშინ ფედერალისტების პარტიის წარმომადგენელმა მთავრობაში გადაჭრით გაილაშქრა ჩვენი საქართველოში შემოსვლის შესახებ, ანუ, პირდაპირ რომ ვთქვათ, მათ მოითხოვეს ჩვენი გაწყვეტა. ახლა კი, იგივე წარმომადგენელი, სამინისტროს გარეშე დარჩენილი, აღშფოთებას გამოსთქვამს ჩვენი ციხეში ყოფნის გამო.

„ბ-ნო ფედერალისტებო! ჩვენ ვიცით, რამდენად სწუხდებით და ზრუნავთ ჩვენთვის. შეწუხებისათვის მადლობას გიცხადებთ, თქვენგან დახმარების მიღებაზე კი გადაჭრით უარს ვაცხადებთ“.

საადგ.-მამულო რეფორმა

ახალი თანამდებობანი.

თანახმად 28 იანვრის კანონის მე 9 მუხლისა საუფლისწულო მიწების დასანაწილებლად მიწათმოქმედების სამინისტროს განკარგულებით ყოველი მაზრა დაიყოფა საგრარო რაიონებად. თვითეულ რაიონში შესდგება სარაიონო კომისია, რომელსაც ირჩევს სარაიონო თათბირი 3—5 პირისაგან. თვითეულ სარაიონო კომისიას ჰყავს მდივანი და მიწის მზომელი, რომელთაც ნიშნავს მიწათ-მოქმედების მინისტრი განსაზღვრულ ჯამაგირით.

ამ მიზნით მიწათ-მოქმედების სამინისტროს აგრარულ რეფორმათა განყოფილება იწვევს მსურველთ სარაიონო კომისიების მდივნების თანამდებობაზე. მოთხოვნილებას უნდა შეჰფერდეს საშუალო განათლების ცენზი მაინც. უპირატესობა მიეცემათ აგრარულ რეფორმის გატარებაზე ნამუშევარ პირთ.

მსურველებმა თხოვნები უნდა წარადგინონ მიწათ-მოქმედების სამინისტროს აგრარულ რეფორმათა განყოფილებაში არა უგვიანეს 6 აპრილისა.

ს.-დემ. პარტიაში

(სხდომის ოქმიდან).

მოისმინა რა მოხსენებანი კ. ნინიძისა და ლეო ნათაძისა იმ ბრალდებების შესახებ, რომელიც წამოყენებული იყო სიღნაღის მაზრის ყოფილ კომისრის პარმენ გელაშვილის წინააღმდეგ და გაეცნო რა იმ საბუთებს, რომელიც ამ ბრალდებას უნდა ამტკიცებდეს, ს. ს. დ. მ. პ. ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა: „პარმენ გელაშვილის წინააღმდეგ არავითარი ყურადსაღები საბუთი წამოყენებული არაა, ამიტომ ის,—პარმენ გელაშვილი,—გამართლებულად იქნას ცნობილი“.

თფილისი. 27 მარტს, საღამოს 6 საათზე შესდგა მეოთხე რაიონის განახლებული კოლექტივის პირველი სხდომა. სხდომამ განიხილა შემდეგი კითხვები: 1) პრეზიდიუმის არჩევნები; 2) სარევ. კომ. წევრის ამხ. არ. რამიშვილის განცხადება; 3) რევიზიის შესახებ; 4) კლუბის კომისიის არჩევნები; 5) სამეურნეო კომისიის მოხსენება; 6) სახალ. უნივ. განყოფილების გახსნის შესახებ; 7) სათათბირო ხმით წარმომადგენელთა მოწვევა; 8) შენობის შესახებ და 9) სახალხო გვარდიის შტაბის განცხადება.

პირველი კითხვის შესახებ სხდომამ ადგინა, პრეზიდიუმი განისაზღვრებოდეს სამი კაცით, თავმჯდომარეთ ერთხმად არჩეულ იქნა ამხ. რ. ჩიხლაძე, თავმჯდომარის ამხანაგათ ამხ. ს. ვალიშვილი და ხაზინადრათ (რომელიც ამავე დროს ასრულებს პრეზიდიუმის მდივნის მოვალეობას) ამხ. გ. მაჭავარიანი. მორიგი სხდომები უნდა იმართებოდეს ხუთშაბათობით საღ. 6 საათზე, თუ წევრთა სიმცირის გამო ექვსის ნახევრამდე სხდომა არ გაიხსნა, მაშინ კოლექტივის წევრთა უფლება აქვთ დაიშალონ. სხდომა კანონიერათ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ მაშინ, როდესაც მას ესწრება ჩვეულებრივის წესით ნახევარზე ერთით მეტი, ე. ი. 3 კაცი. მეორე კითხვის შესახებ სხდომა ისმენს ამხ. არ. რამიშვილის წერილობითი განცხადებას სარევიზიო კომისიის წევრობიდან განთავისუფლების შესახებ. კრება იღებს მას მხედველობაში და გადასცემს სარევიზიო კომისიას. რევიზიის შესახებ სხდომა სურვილს გამოსთქვამს ეთხოვოს სარევიზიო კომისიას დააჩქაროს რევიზია. მეოთხე კითხვის შესახებ სხდომა ადგენს არჩეულ იქნას კლუბის კომისია, რომელსაც ევალება გაუძღვეს კლუბის საქმეებს და ახლო მომავალში წარმოადგინოს კოლექტივის კლუბის მუშაობის გეგმა. კომისიაში არჩა შედიან: ლ. ბერიტაშვილი, მ. თამაზაშვილი, ი. ბუბუტეიშვილი, ნ. კიკნაძე, ელ. მახვილაძე, ივ. ავალიშვილი და ივ. მესხი. მეხუთე კითხვის შესახებ სხდომა ადგენს მორიგ სხდომაზე მოსმენილ იქნას მოხსენება კლუბის ანგარიშების შესახებ. სახალხო უნივერსიტეტის განყოფილების გახსნის შესახებ სხდომა სიამოვნებით ეცნობა სახ. უნ. ქართ. განყოფილების განცხადებას და ავალებს კლუბის კომისიას, დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები მის გასახსნელათ. მეშვიდე კითხვის შესახებ სხდომა ისმენს ამხ. ელ. მახვილაძის განცხადებას ქალთა ორგანიზაციისა და სხვა მნიშვნელოვან ადგილებიდან კოლექტივში სათათბირო ხმით წარმომადგენლის ყოლის შესახებ და საჭიროთ სცნობს ეს კითხვა მომავალ სხდომაზე იქნას განხილული. კითხვა შენობის შესახებ გადაეცა კლუბის კომისიას. სახალხო გვარდიის შტაბის განცხადების შესახებ კოლექტივი ადგენს: გადაეცეს დაზარალებულ გვარდიელთა ოჯახების ფონდიდან სახალხო გვარდიის შტაბს, დაზარალებულ გვარდიელთა ოჯახების გადასაცემათ ოთხასი მანეთი (ორ ოჯახს, თითოს 200 მან.).

დასასრულ ამხ. ლ. ბერიტაშვილს შეაქვს განცხადება განთავისუფლებულ იქნეს ის კლუბის კომისიის წევრობისაგან.

მდივანი.

ს. მეჯვრისხევი (გორის მაზრა). 28 მარტს მოხდა კრება მეჯვრისხევის რაიონის ს. ს. დ. მ. პარტიის კოლექტივისა, დაესწრენ ყველა „იაჩეიკების“ წარმომადგენლები. კრებამ მიიღო განსახილველი მეჯვრისხევის საზოგადოებაში წვრილი ერთეულების მოწყობა, ე. ი. დასახელება სასოფლო ერობის ხმოსნების და მათ კანდიდატებისა. ხანგრძლივი კამათის და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრებამ გამოიმუშავა შესაფერისი სია ხმოსნებისა და მათ კანდიდატებისა.

X.

(ამოწერილობა ს. ს. დ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტის 29 მარტის 1919 წ.

საკრ. დაწეს. წარმ. ყრილობის დადგენილებანი

საქართველოს საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენლების ყრილობამ თფილისში მიმდინარე წლის 16, 17 და 18 მარტის სხდომაზე შემდეგი დადგენილებანი გამოიტანა.

I

1. საკრედიტო დაწესებულებანი 5 პროც. ვალდებულებათა რეალიზაციის საქმეში მხურვალე მონაწილეობას იღებენ.

2. საკრედიტო დაწესებულებანი ამ ვალდებულებათა რეალიზაციისათვის აარსებენ პროვინციებში სათანადო ორგანიზაციებს არსებულ მთავრობის მთავარ კომიტეტთან წინასწარ შეთანხმებით.

3. საკრედიტო დაწესებულებებმა იმ ფულით, რომელიც წესდების მიხედვით უნდა გადარიცხულ იქნას ამ დაწესებულებათა საბრუნავ თანხებში, დაუყოვნებლივ უნდა შეისყიდონ ზემოხსენებული ვალდებულებანი და ეს სავალდებულო უნდა იქნეს მიჩნეული ამ დაწესებულებებისათვის, რის შესახებაც სათანადო სამინისტრომ უნდა გამოსცეს საჭირო განკარგულება.

4. აღიძრას შუამდგომლობა სათანადო სამინისტროს წინაშე, რომ სხვადასხვა გადასახადების გადახდის დროს ეს ვალდებულებანი მიღებულ იქნან ხაზინების მიერ, როგორც ფული.

5. ყრილობა მხარს უჭერს კოოპერატივთა კავშირის შუამდგომლობას მთავრობის წინაშე, რათა მათ მიეცეს ნათხოვნი სესხი და ამ სესხის ნაწილი კი (25 პროც.) ამ ვალდებულებებით.

6. საკრედიტო დაწესებულებანი კლიენტებთა შორის ვალდებულებათა გასანაღდებლად ფართო აგიტაციას ეწევიან.

II.

1. დაევალოს საკრედიტო დაწესებულებათ, რათა ანგარიშები და მიწერ-მოწერა სახელმწიფო ენაზე აწარმოონ.

შენიშვნა: იმ საკრედიტო დაწესებულებათა შესახებ, რომლებსაც სხვა სახელმწიფოებთან კავშირი და მიწერ-მოწერა აქვთ, ყრილობა სურვილს გამოსთქვამს, რომ სახელმწიფო ენაზე საქმისა და ანგარიშის წარმოება თანდათანობით იქნას შემოღებული.

III.

ი. ლორთქიფანიძის მიერ წარმოდგენილი მოხსენება—საურთიერთო ნდობის ბანკების ზოგადი დებულების კანონპროექტი იმ შესწორებებით, რომელნიც ყრილობამ მიიღო, მოწონებულ იქნას და გადაეცეს ყრილობის აღმასრულებელ ორგანოს საბოლოო რედაქციისთვის, რის შემდეგ წარედგინოს სადაც ჯერ არს დასამტკიცებლად.

IV.

ყრილობა ერთხმად აღნიშნავს ქართულ პასუხისმგებელ მოხელეთა არტელის საჩქაროდ დაარსების საჭიროებას, იწონებს ბიუროს მიერ გადადგმულ ნაბიჯებს და სურვილს გამოსთქვამს, რომ ამ საქმის ორგანიზაცია სთხოვოს საურთიერთო ნდობის საზოგადოების თავმჯდომარეს, კონ. გოგიშვილს მიენდოს.

V

1. საკორესპონდენტო ანგარიშების ზოგადი პირობების შემუშავება ყრილობის აღმასრულებელ ორგანოს დაევალოს.

2. რადგან ყრილობას ჯერჯერობით არ ყავს საჭირო შტატი, ეთხოვოს ამიერ-კავკასიის ბანკის მართველ ორგანოს მოაწყოს ბანკთან ცნობების მიმწოდებელი ბიურო; ყრილობის აღმასრულებელმა ორგანომ ზემოხსენებულ დაწესებულებას ამ თხოვნის შესრულებაში ყოველგვარი დახმარება უნდა აღმოუჩინოს.

3. ეთხოვოს ამიერ-კავკასიის ბანკის მმართველ ორგანოს შესაძლებისდაგვარად რესპუბლიკაში არსებულ მომქმედ საკრედიტო დაწესებულებათა შორის საკორესპონდენტო ანგარიშების სახით მჭიდრო კავშირი შეკრას და ამ ანგარიშებით ყველა გათვალისწინებული ოპერაციები აწარმოოს, განახორციელოს.

4. საკრედიტო დაწესებულებანი ვალდებულნი უნდა გახდენ ყრილობის აღმასრულებელ ორგანოს მოთხოვნისთანავე მიაწოდოს ყოველნაირი მათ განკარგულებაში არსებული ცნობები, ანგარიშები, ბალანსები, წლიური ანგარიშები და სხვ.

ბიუროს განკარგულებაში ყველა არსებული თანხები ბიუროსაგან მეომრების დასახმარებლად შეგროვილი, გადაეცეს მეომართა დამხმარე ქალთა კომიტეტს; ეთხოვოს ამ კომიტეტს თავის შემადგენლობაში კომიტეტის წევრის უფლებით ყრილობის აღმასრულებელ ორგანოს ერთი წევრი მიიწვიოს, ლ. ტყეშელაშვილის წინადადების თანახმად ეთხოვოს საკრედიტო დაწესებულებათ შეწირულების შეგროვება განაახლონ, რადგან რესპუბლიკის საზღვრებზე კვლავ მოქმედება სწარმოებს და ჩვენი მეომრები დახმარებას საჭიროებენ.

VI

1. აღიძრას მთავრობის წინაშე შუამდგომლობა, რათა ოზურგეთის საურთიერთო ნდობის საზოგადოებას, როგორც ომისაგან შექმნილ პირობებით დიდათ დაზარალებულს, მიეცეს განსაზღვრული ვადით სესხი—300,000 მ. ჯეროვანი პროცენტების გადახდით და იმ საქონლის გირავნობის ქვეშ, რომელიც ამ საზოგადოებას აქვს დაგირავებული ადგილობრივი კლიენტებისაგან.

2. აღიძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რათა ბათუმის საურთიერთო ნდობის საზოგადოებას, როგორც დაზარალებულს ომის გამო შექმნილ პირობებით თანახმად ამ საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის, ბ-ნ ს. გ. მდივანის წინადადებისა, მიეცეს განსაზღვრული ვადით სესხი 50,000 მანეთი ჯეროვანი პროცენტების გადახდით და აგრეთვე გადაეხადოს ამ დაწესებულებას ის თანხა (29,000 მანეთამდე), რომელიც მას ერგებოდა ყოფილ სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირის ამ.-კავკ. კომიტეტისაგან.

3. აღიძრას შუამდგომლობა, რომ მთავრობამ დახმარება აღმოუჩინოს ყრილობის აღმასრულებელ ორგანოს წარდგენით ოჩამჩირის, გუდაუთის და [illegible] საურთიერთო ნდობათა საზოგადოებებს და აგრეთვე ახალციხისა და ბორჩალოს მაზრების წვრილი კრედიტის და შემნახველ გამსესხებელ ამხანაგობათ.

4. დაევალოს ყრილობის აღმასრულებელ ორგანოს მიიღოს ენერგიული ზომები, რათა საკრედიტო დაწესებულებებს შეძლება მიეცეთ განაახლონ აქტიური ოპერაციები.

5. ზემოთ აღნიშნულ დადგენილებათა (§§ 1, 2, 3 და 4) სისრულეში მოსაყვანად ეთხოვოს მთავრობას შესაფერი წესით გაიღოს სესხი არა ნაკლებ 5,000,000 მანეთისა.

VII.

კომისიის დადგენილებას, რომ საზღვარ გარეთის ფირმებთან მოეწყოს საქონლის გაცვლა-გამოცვლა, რა მიზნისათვისაც საჭირო იქნება რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში თავმოყრილ საქონლის შესყიდვა, ყრილობა პრინციპიალურათ ეთანხმება; ყრილობის აზრით ამ საქმისათვის საჭიროა 200.000.000 მანეთი, დაევალოს ყრილობის აღმასრულებელ ორგანოს ამ საკითხის შესახებ დაიწყოს საჭირო მასალები და ცალკე მოხსენებით წარუდგინოს მთავრობას; ამ საქმის ორგანიზაციაში მონაწილეობა უნდა მიიღონ საკრედიტო დაწესებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებებმა და კოოპერატიულ კავშირებმა.

VIII

რადგან რესპუბლიკის ვაჭრობა მრეწველობისა და აღებ-მიცემობისათვის სეზონურ ვაჭრობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ მთავრობამ და სათანადო დაწესებულებებმა სეზონურ ვაჭრობის განვითარებას სათანადო ყურადღება უნდა მიაქციონ: ძველი მოსავლის განაღდებით რიგიან ფასებში და ახალი მოსავლის შესყიდვისათვის საჭირო სესხის აღებით.

IX.

კომისიის მოხსენება მცირე კრედიტის და შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათა ზოგადი დებულების კანონპროექტის შესახებ და განხილული კანონი გადაეცეს ყრილობის აღმასრულებელ ორგანოს, რომელიც ამ საკითხის შესახებ სხვა ორგანიზაციებში არსებულ მასალას უნდა გაეცნოს და კანონ-პროექტი დაჩქარებით წარადგინოს დამფუძნებელ კრებაში დასამტკიცებლად.

X.

1. რესპუბლიკაში არსებულ საკრედიტო დაწესებულებათა (საურთიერთო ნდობის საზოგადოებანი, შემნახველ გამსესხებელ და წვრილი კრედიტი ამხანაგობანი და სხ.) შესაკავშირებლად, მათი საქმეების გასაძლიერებლად და საერთო ხელმძღვანელობის გასაწევად დაარსდეს ქ. ტფილისში ცენტრალური საქციონერო ბანკი მოსკოვის სახალხო ბანკის წესდების მიხედვით; ამ წესდებაში შეტანილ იქმნას ადგილობრივი—თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნილების მიხედვით საჭირო ცვლილებანი.

2. ცენტრალურ ბანკის დაარსებით ადგილობრივ ბანკებს: საურთიერთო ნდობის საზოგადოებებს და წვრილ კრედიტის და შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათ თვის სამოქმედო რაიონში სრული დამოუკიდებლობა უნდა შერჩეთ და მათი ავტონომიური საქმიანობა ცენტრალურმა ბანკმა ცხოვრების მოთხოვნილების მიხედვით უნდა გააფართოვოს და მტკიცე ნიადაგზე დააყენოს; აუცილებელ საჭიროებად მიჩნეულია, რომ ზემოხსენებულ დაწესებულებათა ფუნქციები გაფართოვდეს.

3. კომისიის აზრით ახალ ცენტრალურ საქციონერო ბანკს უნდა ეწოდოს: „საქართველოს სახალხო ბანკი“. ამის მიხედვით შესაძლოა შეიცვალოს არსებული საკრედიტო დაწესებულებათა სახელწოდება, მაგალითად: „ოზურგეთის სახალხო ბანკი“.

4. ახალი საქციონერო ბანკის და არსებულ საკრედიტო დაწესებულებათა წესდებების ტიპტის საბოლოო რედაქციის შემუშავება დაევალოს ყრილობის აღმასრულებელ ორგანოსა და განსაკუთრებით მიწვეულ სპეციალისტთა შეერთებულ სხდომას.

5. რესპუბლიკის იმ ადგილებში, სადაც საკრედიტო დაწესებულებანი არ არიან და მათი დაარსება ადგილობრივი ვაჭრობა-მრეწველობისათვის და სასოფლო მეურნეობისათვის საჭიროა, დაარსდეს შესაფერი ტიპის ბანკები (§ 9).

6. ეთხოვოს მთავრობას საჩქაროთ აღდგენილ იქნას წვრილი კრედიტის ინსპექტორთა საქმიანობა; თუ ამ მოხელეთა არსებული შტატი საკმაო არ არის, მოწვეულ იქნას საჭირო რიცხვი თანამშრომლებისა, რომლებიც დაუყონებლივ უნდა შეუდგნენ საკრედიტო დაწესებულებათა (წვრილი კრედიტის და შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობანი) საქმეების ადგილობრივ გამორკვევას, თვიური ბალანსების და წლიური ანგარიშების აღდგენის ხელმძღვანელობას, ისე რომ ახლო მომავალში შესაძლებელი იქნეს ერთი შეერთებული ბალანსის შედგენა.

7. შეერთებული ბალანსები და სხვა ზოგადი საკითხის შესახებ სისტემაში მოყვანილი ცნობები უნდა იბეჭდებოდეს დროგამოშვებით რომელიმე პერიოდულ გამოცემაში ყრილობის აღმასრულებელ ორგანოს შეხედულებით და მის მიერ წინასწარ გათვალისწინებულ პირობებით (§ 6).

8. ეთხოვოს მთავრობას, რომ ის თანხები, რომლებიც ინახება სახელმწიფო ბანკში და ხაზინებში და საკრედიტო დაწესებულებათა საკუთრებას შეადგენენ, საჭირო შემთხვევაში, დაუყოვნებლივ უნდა დაუბრუნდეთ ამ უკანასკნელთ (§ 11).

9. ეთხოვოს მთავრობას მიღებულ იქმნას ენერგიული ზომები, რათა ქართული სახელმწიფო ბანკი რაც შეიძლება დაჩქარებით დაარსდეს.

10. ფოსტა და ხაზინები გადაგზავნილ თანხებს დაუბრკოლებლივ და თავის დროზე უნდა იძლეოდეს (§ 11).

XI

საქართველოს საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენლების ყრილობის დებულება.

ყრილობა რომელიმე ცვლილების შეტანის შემდეგ იწონებს და ავალებს აღმასრულებელ ორგანოს დებულება დაჩქარებით წარადგინოს სათანადო სამინისტროში დასამტკიცებლად.

XII.

1. ნება ეძლევა ყრილობის საბჭოს მიმდინარე ხარჯების დასაფარავად გაიმართოს 20,000 მანეთამდე.

2. არტელის წინასწარი ორგანიზაციისათვის ყრილობის საბჭოს ნება ეძლევა გასწიოს საჭირო ხარჯი თვისი შეხედულებით ისე, რომ შემდეგში გაწეული ხარჯი ყრილობის საბჭოს სალაროს დაუბრუნდეს.

3. ყრილობის საბჭოს ნება ეძლევა წევრთა შორის ხარჯების საერთო ჯამი (ბალანსების მიხედვით) გაანაწილოს; სანამ საბჭო გაწერილ ფულს არ მიიღებს, უფლება ეძლევა თვისი შეხედულებით რომელიმე საკრედიტო დაწესებულებაში სესხი აიღოს.

XIII

ყრილობის საბჭოში ერთხმად აირჩიეს: ყრილობის საბჭოს თავმჯდომარედ პ. გოთუა; წევრებად: ი. ზ. ლორთქიფანიძე, დ. გ. ქუთათელაძე, მ. სულუხია, დ. ჩხეიძე, ქ. გოგინეიშვილი, ალ. გრიგოლია, ქ. ტყავაძე, ლ. ქიდაძე, ტ. სიხარულიძე, დ. ლუკაშვილი, ქ. კაკაბაძე, ალ. პ. გრ. გოლაშვილი, ს. მაჭავარიანი და ალ. ალ. ქარუმიძე. საბჭოს სხდომები კანონიერად ჩაითვლება, თუ წევრების ერთი მესამედი დაესწრება.

XIV.

პართენ გოთუას წინადადების თანახმად ყრილობამ ერთხმად დაადგინა:

„ყრილობა აღფრთოვანებით უძღვნის სალამს დამფუძნებელ კრებას და საქართველოს მთავრობას და ამავე დროს მათ წინაშე მტკიცე აღთქმას სდებს, რომ საკრედიტო დაწესებულებანი მთავრობის ფინანსიურ ზომათა განხორციელებისათვის თავის ძალას არ დაიშურებენ და თავის მხრივ ელიან მხურვალე და ენერგიული მონაწილეობა მიიღონ ჩვენი ეკონომიური ცხოვრების მოღონიერებისა და სახე ფინანსიურ პოლიტიკის განმტკიცებისათვის.

ყრილობა ავალებს საბჭოს პრეზიდიუმს პირადათ გადასცეს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს და მთავრობის თავმჯდომარეს ყრილობის აღფრთოვანებული გრძნობები და შეატყობინოს ყრილობის აზრი საფინანსო და ეკონომიური საკითხების შესახებ“.

მუშათა შორის

ტფილისის სავათმყოფოების კასების წარმომადგენელთა კონფერენცია. — და ესწრენ 6 სავათმყოფო კასის და რკინის გზის წარმომადგენლები. 1) ორთაჭალის—საკაიანი და ფუტკინიანი, 2) მეტყევეების—მიქაძე, 3) ტრამვაის მოსამსახურეთა—მარსანოვი, ბაზაჯანოვი, ბელანდინი და მეიბურიანი, 4) მბეჭდავთა—ბერგმანი, კორნშტეინი და ბერელაშვილი, 5) საზოგადო სავათმყოფოების კასების—ბრავო, ელიენტი, ბეჟიაშვილი და ერზიკიანი, 6) რკინის გზის მოსამსახურეებისაგან—კუპრიაშვილი.

დღის წესრიგი: 1) სანატორიის გახსნა სოხუმში, 2) სავათმყოფოთა კასების გაერთიანება, 3) დროებით საეპიდემიო განყოფილების დაწესება, 4) სავათმყოფოთა კასების კანონის ზოგიერთ მუხლების შეცვლა, 5) მიმდინარე საკითხები. თავმჯდომარეობს შრომის კომისარი ელიბაქიანი, მდივნად აირჩიეს ბრავო.

თავმჯდომარე კრების გახსნისთანავე აქვეყნებს კონფერენციის დღის წესრიგს, რასაც კონფერენცია უცვლელათ ღებულობს. 1) სოხუმში სანატორიის გახსნის შესახებ მოხსენებას აკეთებს ელიბაქიანი. მომხსენებელი აღნიშნავს სანატორიის მნიშვნელობას ფილტვებით ავათმყოფებისათვის, აცნობს იმ წერილს, რომელიც მიღებული იყო პროფესიონალური კავშირების საბჭოს ყოფილი მდივანი ამხ. სულეცკისაგან, სადაც აღნიშნული იყო შეღავათიან პირობებში სოხუმში კარგათ მოწყობილი სანატორიის შეძენის შესაძლებლობა და წინადადებას აძლევს კონფერენციას არ გაუშვან ხელიდან ეს შემთხვევა და ყოველგვარი ზომები მიიღონ ხსენებული სანატორიის შეძენისათვის.

ამხ. ელენტი მიმხრობა, რომ ეხლავე შეუდგნენ პრაქტიკულ მუშაობას სანატორიის შესაძენათ. საშუალება მოიძებნება, მით უმეტეს, რომ ყველა კასების ტენდენცია შეერთდენ ერთ მთლიან კასაში.

ამხ. ბერგმანი. წინადადებას იძლევა გამოარკვიონ, საიდან შეიძლება იშოვონ ამ მიზნის განსახორციელებლად საშუალება, ვინაიდან სავათმყოფოების კასებში, ქოლერაში მიღებულ ეპიდემიის გამო, ფული არ არის.

ამხ. ელიბაქიანი აცხადებს, რომ პრინციპიალურად საკითხი გადაწყვეტილია და ეს მხარე არ უნდა აინტერესებდეს კონფერენციას, არამედ ამ საქმის პრაქტიკულად განხორციელება. ის წინადადებას იძლევა გაგზავნონ სოხუმში საავადმყოფოთა კასების წარმომადგენლები, რომ გაეცნონ ადგილზე სანატორიის პირობებს.

ელენტი ფიქრობს, რომ საშუალება გამოინახება. საჭირო არ არის ამ საქმეში მწარმოებლები მივიზიდოთ და შევურიგდეთ იმ აზრს, რომ სოხუმში გავაგზავნოთ კაცი.

ბრავოს წინადადებით არჩეულ იქნას 5 კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელმაც უნდა გამოძებნოს საშუალება სანატორიის შესაძენათ და მის მოსაწყობად და რომელიც თავის შემადგენლობიდან გაგზავნის ერთ კაცს სოხუმში. წინადადება მიღებულ იქნა. არჩეულ იქნენ კომისიაში: ბერგმანი, ერზიკიანი, ბრავო, მარსაკოვი და ბაგდოევი. 2) საავადმყოფოებთა კასების გაერთიანების შესახებ ამხ. ელიბაქიანი ამბობს, რომ დაყოფილ კასებს საშუალება არ აქვთ, სხვადასხვა კასებში საქმის წარმოებაში არის დეფექტი. კასების გაერთიანებას თვით ცხოვრება მოითხოვს. ის მოუწოდებს კონფერენციას დაუყონებლივ თფილისის ყველა კასების გაერთიანებისაკენ, რომ საშუალება მიეცეთ თვით აიღონ საექიმო დახმარების საქმე და დააყენონ ის შესაფერ სიმაღლეზე. ზოგიერთები ფიქრობენ, რომ თავიანთ კასების არსებობის დროს, მათი ჯგუფობრივი ინტერესები უკეთ იქნება დაცული; ეს „მეშჩანური“ აზრია და ამის წინააღმდეგ აუცილებელია ბრძოლა. გაერთიანებული კასების ჩანასახი უკვე არსებობს თფილისში. ეს საერთო საქალაქო სავათმყოფო კასაა, რომელშიაც შედიან ყველა ხეთამზიდი, საავტომობილო, სახელოსნო და სხვა წარმოებები. ეხლა ჩვენ წინ უნდა წავიწიოთ და შევაერთოთ მის ირგვლივ ყველა თფილისში არსებული სავათმყოფო კასები. ამით მოიგებს დემოკრატია.

ამხ. კუპრიაშვილი კითხვას იძლევა: როგორ მოიქცევ რკინის გზის მოსამსახურეები, რომელთაც თავისი კასა არა აქვთ. საექიმო საქმე სავსებით გზის ადმინისტრაციის ხელშია. როგორ შეუძლიათ მათ შეუერთდენ მუშათა ორგანიზაციებს.

ელიბაქიანი უხსნის, რომ რკინის გზის და ზოგიერთი ძირითადი საწარმოებები განსაკუთრებულ პირობებში იმყოფებიან და განსაკუთრებულ შეღავათით სარგებლობენ, მაგრამ თუ ისინი დაინახავენ უფრო ხელსაყრელად საერთო საქალაქო კასაში შესვლას, ეს მათი საქმეა, მაგრამ ეს შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, როცა შეიცვლება საწარმოვო შრომის წესდების მე 257 და 259 მუხლები.

ბრავო აღნიშნავს, თუ როგორი შედეგი მოყვა კასების ერთ საერთო კასათ შეერთებას. შემოკლდა მოსამსახურეების ხარჯები, ანგარიში დაყენებულია ბევრათ უკეთესად, მდიდარი სტატისტიკური ცნობებია მუშების ავათმყოფობის შესახებ. წვრილი წარმოებები მოკლებული არიან ბოროტ-მოქმედების საშუალებას, აგრეთვე მუშათა სიმულიაციაში თანხის დახარჯვის მხრივ. სულ 3 თვეა რაც საერთო კასა არსებობს, კიდევ ბევრი საქმე აქვს მას გასაკეთებელი მდგომარეობის გაუმჯობესობის მხრივ, მაგრამ საგრძნობი შედეგები უკვე არის.

ელენტი აცხადებს, რომ არ უნდა იყოს არავითარი გამონაკლისი, ყველა ის კასებიც, რომელთაც კარგათ აქვთ საქმე დაყენებული, უნდა შეერთდენ ერთ საერთო კასაში. მათ ზოგიერთ მსხვერპლის გაღება მოუხდებათ, მაგრამ ეს აუცილებელია საერთო საქმისათვის.

ბერგმანი აღნიშნავს, რომ პრინციპიალურათ ყველა მომხრეა კასების შეერთების, მხოლოდ პრაქტიკულათ საქმე არ ეწყობა, რადგანაც განსახვავების სხვადასხვა პირობები არსებობ; მეთამბაქოებს ერთი აქვთ, მბეჭდავთ მეორე, აუცილებელია ნიმუშათ მიიღოთ დახვევის მაგალითი, მეთამბაქოებში, გავრცელებულია ყველა წარმოებაზე, რისთვისაც საჭიროა შეიცვალოთ სავათმყოფო კასების კანონის ზოგიერთი მუხლები, მაშინ შესაძლებელი იქნება კასების გაერთიანება.

ტრამვაის მოსამსახურეთა წარმომადგენელი აცხადებს, რომ არც ერთ კასაში საქმე არ არის კარგათ მოწყობილი. მაგრამ ტრამვაის მოსამსახურეთ უკეთ აქვთ მოწყობილი, ვინემ სხვას. გაერთიანება მდგომარეობას გააუარესებს, განსაკუთრებით ეპიდემიის დროს. ამისათვის უნდა შემოვიღოთ მოსამზადებელი მუშაობა. როცა სხვა კასებში საექიმო დახმარების საქმე ისე იქნება მოწყობილი, როგორც ტრამვაის მოსამსახურეებთან, მაშინ შესაძლებელი იქნება გაერთიანება.

ერზიკიანი აცხადებს, რომ მაშინ, როცა ქარხნებთან არსებობდა ცალკე კასები, მუშები წინააღმდეგი არ იყვნენ წვრილი წარმოების კასებს შეერთებოდნენ. მწარმოებელთა მხრივაც იყო დაბრკოლებები. ეხლა ეს დაბრკოლებები არ არის, და ამისათვის საჭიროა ყველა კასების გაერთიანება. მაშინ კანტროლი გაუმჯობესდება, ვინაიდან ეხლა მასის შეუგნებლობის გამო, არის ავათმყოფთა სიმულიაცია.

მაშინ უფრო ადვილად შეიძლება წამოყენებულ დროებითი საეპიდემიო განყოფილების გატარება, რომლისთვის ვერც ერთი კასები ვერ იარსებებენ.

(დასასრული იქნება).

პროვინცია

ქ. ბორჯომი. 24 მარტს მოხდა ბორჯომის ქალაქის თვითმართველობის საბჭოს კრება. თავმჯდომარეობს ექ. ს. კანდელაკი. განხილულ იქნა შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება ქალაქთა კავშირის დელეგატისა, 2) მოსამსახურეთა შტატის შედგენა და მათი ჯამაგირები, 3) მთავრობიდან სესხის აღება და 4) თვითმართველობისათვის ბინის არჩევა. პირველი საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს თავმჯდომარე. მან მოკლეთ გააცნო საბჭოს ქალაქთა კავშირის დელეგატების ყრილობის დადგენილებები. საბჭომ ყურადღება მიაქცია ქალაქთა კავშირისაგან მანუფაქტურის და სხვა პირველ-მოთხოვნილების საგნების შეძენის საქმეს. ამ საქმის მოგვარება და მთავრობიდან სესხის აღების საქმე, საბჭომ მიანდო ხმოსან იოაკ. გურგენიძეს. მასვე დაევალა ექ. შახპარუნოვთან ბინის შესახებ მოლაპარაკება და ხელშეკრულობის დადება. ამის შემდეგ კრება შეუდგა მოსამსახურეთა შტატის შედგენას და მათი ჯამაგირების დანიშვნას. გამგეობის წევრად აირჩიეს რ. გაგუა. ორ გამგეობის წევრს თვიური ჯამაგირი დაენიშნა 1500 მანეთი თითოს. გამგეობის მდივანს 1000 მ., საქმის მწარმოებელს 800 მანეთი, ბუღალტერს 1000 მანეთი, მასხურს 500 მანეთი, ზედამხედველს 600 მანეთი, საბჭოს მდივანს 500 მ., საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგს 200 მ., ქალაქის თავს და საბჭოს თავმჯდომარეს დამატებით ჯამაგირი 500 მან. თითოს. ეს უკანასკნელნი უარს აცხადებენ ჯამაგირებზე. კამათი იმართება თვითმართველობის მუდმივი და დროებითი ბინის შესახებ. წინადადება შემოდიოდა, რომ თვითმართველობის მუდმივ ბინათ არჩეულ იქნას რეფერტოვის ბაღში არსებულ მამულის შენობა, სადაც ამ ჟამად სახ. გვარდიის შტაბია მოთავსებული. შტაბი კი თავის საწყობით გადატანილ იქნას შახპარუნოვის შენობაში. საბჭომ ეს საკითხი მიიღო. ტექნიკურად ამის გამორკვევა მიენდო გამგეობას. დროებითი ბინათ არჩეულ იქნა მ. ქიმერიძის შენობა. შემდეგი სხდომა დაინიშნა 31 მარტისათვის.

ნოდე.

წერილი რედ. მიმართ

„ერთობის“-ს 69 № ში ვანო კავთუაშვილი ცილს მწამებს. ვიწვევ სამედიატორო სასამართლოში მის მიერ წამოყენებულ ბრალდების დასამტკიცებლათ. მედიატორებათ ვასახელებ საგარეჯოს გვარდიის შტაბის თავმჯდომარეს იაკობ ახარიაშვილს, ამავე გვარდიის ყოფილ უფროსს კოლა ქურდავანიძეს. მედიატორების განაჩენი უნდა იყოს გამოცხადებული „ერთობაში“ უსათუოდ. მე თუ გავმტყუნდი, ვალდებულ ვარ გადავიხადო მკვდარი ცხენის საფასური და საგარეჯოს უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველოს სასარგებლოთ 100 მანეთი. თუ ჩემი ცილისწამებელი გამტყუნდა, მოიხადოს ბოდიში და უარჰყოს თავის ცილისწამება პრესის საშუალებით. მედიატორების პირველი კრება უნდა შესდგეს საგარეჯოში არა უგვიანეს 15 აპრილისა 1919 წ. რადგან ფაქტს ადგილი ჰქონდა სოფ. საგარეჯოში და ყველა მოწმეებიც აქ არიან.

წინააღმდეგ შემთხვევაში უფლებას ვიტოვებ საქმე გადავცე სასამართლოს გამომძიებელს ტყუილი ცილისწამებისათვის.

საგარეჯოს უბნის კომისარი: შაქრო ჯაფარიძე.

განცხადებანი

სახალხო სიმღერა-გალობის
კურსები
მ. პავსაძისა
მუშათა კლუბის, პროფესიონალურ კავშირების ბინაზე ვორონცოვის ძეგლთან, (ყოფილი ბომონდი) სამშ. და პარასკ. საღ. 5 ნახ. 8 ს.

15 მარტს სად. ხაშურიდან სად. სანდარამდე
დაიკარგა
„პასპორტი“ და პარტიული წიგნაკი. მნახველს ვთხოვ გამომიგზავნოს შემდეგი მისამართით: სად. სანდარა, მეისრეს ვასილი კეკნაძეს, წინააღმდეგ შემთხვევაში პასპორტს ვაცხადებ გაუქმებულათ.

განცხადება
ბავშვებისა და ქალური შინაგანი ავადმყოფობისა ექიმი ქალი ეუნო ანდრიას ასული გიორგიანოვის-ზიდანოვისა მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით: 9 საათ. 11-საათამდის საღამოთი: 5 საათ. 7 საათამდე. ნაძალადევი—ჩერქეზოვის ქუჩა № 161
(6—1)

ქართული ლატარია
დავინებოთ თავი
ყველაფერს და ყველას!
ერთი კითხვა მწვავი
ახლა ითხოვს შველას.
ჯერ არ დაგვიწყებინდა,
ლატარიის ბედი!
ხელოვნება გვინდა
განათლების სვეტი.
ეხლა ლატ[illegible] აქებს,
ჩვენი ქვეყნის მმართველს,
ყველა მოქალაქეს,
ყველა ერთგულ ქართველს:
მოეგვაშურეთ მალე
ჩვენ გასწავლით გზასა...
სწრაფად დაიცალა,
ბილეთების კასა!
მ[illegible] მუდამ ვუმღეროთ,
ერს სხვა ფიქრით გართულს:
„მიაშურე ერო,
ლატარიას ქართულს“.

მედიცინის დოქტორი
ბერლინის უნივერსიტეტისა
გ. გ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სოლენოიდით და არსენვალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 28, ტელეფ. 7—92.

ქალის საექიმო კაბინეტი
[illegible]
ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილით 9—2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 13—35.

ექიმი
ნ. ლ. ტურიაშვილი
მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა იღებს ყოველ დღე შინაგან, საბებიო და ქალურ სნეულებიან ავათმყოფთ დილით 12—2 საათ. ნიკოლოზის ქ. № 7 სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით.

სამკურნალო კაბინეთი ექიმი
ვ. ნ. გოზიტიძისა
ყოფ. ორდინატორი ვენერ. კლინიკისა სამხ. სამედ. აკადემიისა პეტროგრადში. ვენერიული, კანის, სიფილ. შარდის და სასქესო ორგანოთა სნეულებანი. „606“ და „914“ შეშხაპუნება. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, კვირა და უქმე დღეების გარდა, საღამოს 4—6 საათამდის. კაჩუბეევის ქუჩა, № 11.

ექიმი ქალი
რ. ბ. შიშლო-საგაშვილი
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებებს. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 საათ. მიხეილის პრ., № 119, ტელეფონი № 9—26.

ექიმი შ. ა. ზაზრაძე.
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით მისამ: ოლღის ქ. № 33.

ექიმი
პ. თ. ტყეშელაშვილის
სამკურნალო კაბინეთი
მიხეილის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე, ფოსტის მახლობლათ შესასვლელი ბელგიის ქუჩიდან—აფთიაქის პირდაპირ ვენერიული, კანი, სიფილ. (606 და 914 შეშხაპუნება) შარდის და სასქესო ორგანოთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათ. (25—10)

ექიმი
მ. ფ. მგალობლიშვილი
ქალისა და სადოსტაქრო ავადმყოფობის მიღება ყოველდღე საღ. 5—7 საათ. ოლღის ქ. № 41, ტელ. 9—53.

ექიმი
ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი
კიროჩნი ქ. № 49, ანდრეევის ქუჩის კუთხე. ვენერიულ სნეულებათა სპეციალისტი (ძნელი და ხრონიკული სუზუნეტი) სიფილისი და მისი შედეგები, კანის ავათმყოფობანი; „606“ და „914“ შეშხაპუნება. მამაკაც ავათმყოფების მიღება დილის 10—12 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე.

ექიმი
კეკელია
იღებს ვენერიულ სნეულებიან ავათმყოფთ (914, 606 შეშხაპუნება) მიღება დილის 10—11 ს. საღამოს 4—6 საათ. მისამართი: მიხეილის პრ. № 116 სასტუმრო „ნოეს“ პირდაპირ. ტელ. 14—28.

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღ. 4—6 საათამდე. ბინა ვერა, გუნიის ქ., № 41, ტელ. № 14—60.

ექიმი
ანასტასი ლვოვიჩი-ორლოვსკი
მიიღებს შინაგან სნეულებიან და ბავშვების ავადმყოფებს. სპეციალურად მალარიის (ციების) წამლობა. ყოველ დღე დილის 12—2 ს. და საღამოს 6—7. ქუჩნიევის ქ. № 9, ტელ. 12—88. (25—25)

ექიმი
ბესარიონი პოპოვი
განსაკუთრებით ყელის, ყურის და ცხვირის ავადმყოფებს. მიღება დილ. 11—12 საათ. და საღ. 5—7 საათამდე. მიხეილის პრ. № 117, ტელ. 18—27.

ექიმი
ნ. გ. გეგეჭკორი
სპეციალურად—ბავშვთა და შინაგანი ავადმყოფობანი: ავადმყოფობანი გულისა და ფილტვებისა, ყორღანოვის ქუჩა №10. მიღება საღამ. 5—7 საათ. ტელ. 17—68.

დოქტორი
მ. გოლდშტეინი
ყოფილი ასისტენტი ბარონ როტშილდის მთავარი გოსპიტლისა და ჟენევის უნივერსიტეტის კლინიკისა.
თვალის ავათმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება 10—1 საათამდე და 4—7 საათამდე. ნიკოლოზის ქუჩა, № 32.

ექ. დ. ი. ჯაფარიძე
ღებულობს შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულობით ავათმყოფებს დილის 12—1 ნახ. საათ., საღამოს 5—6 საათ. მისამართი: მადათოვის ქ. № 7 ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ ტელეფონი 16—65.

მედიცინის დოქტორი
ალ. გ. მაჭავარიანი.
იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—7 საათ. კვირაობის გარდა. მიხეილის ქუჩა სახლი ალამბეგისა № 111. (მე-2 ფლიგელი) ველის ტელეფონი № 49.

სახელმწიფო თეატრი
საოპერო დასი ს. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით.
ოთხშაბათს, 2 აპრილს, სპატკის, კანშინის, პოლიაევას, ისეცკის მონაწილეობით
პირველად განახლების შემდეგ
სამსონ და დალილა
ხუთშაბათს 3 აპრილს, ევლახიშვილის ბენეფისი „ბოკაჩიო“.

კ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის სახ. სახლი
სახალხო სახლთან არსებულ ქართულ სახ. წარ. მართველი წრე.
სამშაბათს 1 აპრილს წარმოდგენილი იქნება: I
მალარო, უფროსი მუშა
დრამა 1 მოქმ. თარგ. ნ. გოცირიძისა.
II სიძე-სიმამრი
კომ. სამ მოქ. ვ. გუნიასი.
ადგილების ფასი 5 მ.—50 კ-მდე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.